პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 150 (10236)

კვირა, 26 ივნისი, 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს სსრ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა — საჯარო ბიბლიოთეკა — თბილისი

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
პურეულის მოსავალი ავიღოთ 10 დღეში (1-ლი გვერდი).
ნ. ბულგანინის წერილი რედაქციის მიმართ (მე-2 გვერდი).
ბ. მუსიაკოვი. — რუსეთის პირველი რევოლუციის თვალსაჩინო მოვლენა (მე-2 გვერდი).
ა. გალინი. — სევასტოპოლში (მე-2 გვერდი).
ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში (მე-2 გვერდი).
თ. სიმონიშვილი. — მეცხოველე კორნეიჩიხინეზის ოჯახი (მე-2 გვერდი).
ა. თოფურია. — სიმინდის წარმოების გადიდების რეზერვები (მე-2 გვერდი).
ფელეტონი. — ა. სხვაველი. — „ექიმი-მასაჟისტი“... (მე-3 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — ა. ჩავლეიშვილი. — „ძალის პოზიციის“ ამერიკული პოლიტიკის წარუმატებლობა (მე-3 გვერდი).
დ. გველესიანი. — იუგოსლავეთის [illegible] ლისში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის გამოხმაურება [illegible] ჟენევაში [illegible] ნერუს ერთობლივ განცხადებაზე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის პრესის გამოხმაურება ვ. მ. მოლოტოვის განცხადების გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

პოლიტიკური აგიტაცია მინდვრად

რესპუბლიკის საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში ძლავრი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. ფართოვდება პურეულის მოსავლის აღების სამუშაოთა ფრონტი. მიმდინარეობს სათოხნი კულტურების დამუშავება. დღითიდღე ძლიერდება თიბვა. გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება ჩაის ფოთლის უხვი მოსავლისათვის. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანონ იქ, სადაც უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის ბრძოლის ბედი წყდება. აგიტატორის ადგილი ახლა მინდვრად არის. მისი მომწოდებელი, მგზნებარე სიტყვა უნდა აღაფრთოვანებდეს კოლმეურნეებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის საბრძოლველად.

პოლიტიკური აგიტაცია მასებზე პარტიული ორგანიზაციების გავლენის ზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. აგიტატორი კოლმეურნეებს საბართლიანად მიაჩნიათ ჩვენი პარტიის წარმომადგენლად, პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მშრომელთა ინტერესებისათვის მებრძოლად. ამიტომ პოლიტიკური აგიტაციის შინაარსი, აგიტატორებთან მუშაობა პარტიული ორგანიზაციების უაღრესად გულმოდგინე ყურადღებას მოითხოვს. სეზონურულ მუშაობას ეწევა მასებში პოლიტიკური აგიტაციის გასაუმჯობესებლად პარტიის გარეუბნის რაიკომი. ამის შედეგად უფრო აქტიური და ქმედითი გახდა სოფლის აგიტატორების საქმიანობა. რაიონში მუშაობს 29 აგიტკოლექტივი. პურეულის მოსავლის აღების დღეებში შესამჩნევად გაუმჯობესეს მუშაობა ნორიოს, დიდი ლილოს, კუმისის, თელეთის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებთან არსებულმა აგიტკოლექტივებმა.

უნარიანად ხელმძღვანელობენ საგიტაციო-მასობრივ მუშაობას მახარაძის რაიონის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები. სოფლის აგიტატორების მთელი საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ დარაზმონ კოლმეურნეები სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. სოფელ ბაღდადის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის პირველ ბრიგადაში სისტემატურად მართავს საუბრებს აგიტატორი თ. ხუჭუა. საუბრის დაწყებამდე იგი გულდასმით ეცნობა მეჩაიეთა მუშაობის შედეგებს, არკვევს, ვინ ჩამორჩა ჩაის ფოთლის კრეფაში, ვინ მიდის წინ. ეს ეხმარება მას ცოცხლად, საინტერესოდ და მიზანდასახულად გამართოს საუბარი კოლმეურნეებთან. ბრიგადაში ყოველ კვირაში გამოდის სველი გაზეთი. კარგად დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობითაც აიხსნება ის, რომ პირველი ბრიგადა მთელ კოლმეურნეობაში მოწინავეა ჩაის ფოთლის კრეფაში. სოფლის აგიტატორების დასახმარებლად პარტიის რაიკომი ყოველთვიურად აწყობს აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარს, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდების მიხედვით იწვევს აგიტატორთა რაიონულ და ზონალურ თათბირებს. ამას წინათ გამართულმა აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარმა განიხილა მოხსენება თემაზე „სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებანი და სოფლის აგიტატორთა ამოცანები“. სემინარმა, რომელიც კარგად იყო მომზადებული, მაღალ დონეზე ჩაიარა.

უკანასკნელ ხანებში სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციებმა რამდენადმე გაუმჯობესეს მუშაობა ადამიანებთან. მაგრამ სოფლად პოლიტიკური აგიტაციის დაყენებაში, მის შინაარსსა და ფორმებში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი. ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა მუშაკი იშვიათად დადის საკოლმეურნეო ბრიგადებში, მეცხოველეობის ფერმებში, სამომთაბარო საძოვრებზე, ნაკლებად ესაუბრება კოლმეურნეებს და საბჭოთა მეურნეობების მუშებს. ზოგან ყოველდღიურ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას მთლიანად აკისრებენ აგიტატორებს, რომელთა ნაწილი საუბარს იშვიათად აწყობს. აგიტატორთა რაიონულ თათბირზე, რომელიც პარტიის ზნაურის რაიკომმა მოიწვია, აღინიშნა, რომ ბევრი აგიტატორი და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი სუსტად მუშაობს მასებში, ხოლო პირველადი პარტორგანიზაციები ნაკლებ კონტროლს და დახმარებას უწევენ მათ.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საგიტაციო-მასობრივი მუშაობა ქუთაისის რაიონის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში. სოფელ ჭოგნარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში კომუნისტები არ დგანან წარმოების ავანგარდში, დაბალია კოლმეურნეთა აქტივობა. მეხუთე ბრიგადაში აგიტატორი ვ. ბასილაძე იშვიათად მართავს საუბრებს. ახლა, როცა სიმინდის ნათესების დამუშავების გადამწყვეტი დღეებია, აგიტატორს მინდვრად, კოლმეურნეებთან ვერ ნახავთ. ჩამოლილია საგიტაციო-მასობრივი მუშაობა კოლმეურნეობის მესამე ბრიგადაშიც. სამწუხაროდ, ჭოგნარის კოლმეურნეობა გამონაკლისი როდია. საჭიროა ბოლო მოვუღოთ პოლიტიკური აგიტაციის შეუფასებლობას, რადგან ამან არ შეიძლება არ გამოიწვიოს სამეურნეო საქმიანობის ჩამორჩენა.

ახლა, როცა გაჩაღებულია პურეულის მოსავლის აღება, პარტიული ორგანიზაციების ვალია მთლიანად გამოიყენონ მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ახალი ძალით გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება. არ დავკარგოთ არც ერთი თავთავი! შემჭიდროებულ ვადებში ავიღოთ მოსავალი! ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე — მინდვრად! — აი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტისათვის უნდა წარემართოთ ახლა საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მთელი ძალა. მოსავლის ათ დღეში უდანაკარგოდ აღებისათვის შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა წითლის მტს-ის მეცამეტე კომბაინის აგრეგატის კოლექტივი. აგიტატორების ვალია სათავეში ჩაუდგნენ ამ შესანიშნავ თაოსნობას, ფართოდ გააჩაღონ კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება. მოსავლის აღების დღეებში პოლიტიკური აგიტაციის უნარიანად მოწყობის დიდი გამოცდილება აქვთ გურჯაანის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს. პურის კალოებთან შექმნილია საველე აგიტპუნქტები, აგიტატორებად დამატებით შერჩეული არიან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მასწავლებლები, კოლმეურნეობებისა და მტს-ების მოწინავე ადამიანები. მინდვრად გამოდის „საბრძოლო ფურცლები“, იმართება თვითმოქმედი წრეებისა და გუნდების გამოსვლები, ეწყობა რადიოგადაცემები. პარტიის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფები მტს-ების ზონებში სისტემატურ დახმარებასა და ინსტრუქტაჟს უწევენ აგიტატორებს, ამარაგებენ მათ საჭირო მასალებითა და ცნობებით. საჭიროა სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციებმა საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ეს გამოცდილება ფართოდ გამოიყენონ მოსავლის აღების სამუშაოთა წარმატებით ჩასატარებლად.

პოლიტიკური აგიტაცია თვითმიზანი როდია. ბოლშევიკური აგიტაციის დამახასიათებელი ნიშანია მისი ქმედითობა. აგიტაცია მხოლოდ მაშინ არის კარგი, როცა იგი იძლევა კონკრეტულ შედეგებს, როცა თვითეული საუბარი ხელს უწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაშლას. აგიტატორის ცოცხალი სიტყვა ადამიანებს უნდა უძლიერებდეს მისწრაფებას — იმუშაონ რაც შეიძლება უკეთ, უვითარებდეს მათ შემოქმედებითს ინიციატივასა და აქტივობას, რაზმავდეს მასებს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა საქართველოს დღე

★

★ ★

ა. წულუკიძის ხსოვნის აღსანიშნავად

წულუკიძე. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს გამოჩენილი რევოლუციონერის ა. წულუკიძის გარდაცვალების 50-ე წლისთავი. ა. წულუკიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წაკითხულ იქნა მოხსენებები აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკაში, მტს-ში, სოფელ ივანდიდის სტალინის, მათხოჯის ლენინის, წითელი ვარსკვლავის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობებში.

21 ივნისს რაიონის ცენტრში გაიმართა წულუკიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა წულუკიძის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. ქუთათელაძემ. წულუკიძის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა დოც. ლ. ებანოიძემ. მოგონებებით გამოვიდნენ ძველი ბოლშევიკები: დიმენტი ჩარგეიშვილი, ვლადიმერ რუხაძე და ლადო ანდრიაძე.

დახმარება მრავალშვილიან დედებს

ახალქალაქი. (საკ. კორ.). რაიონში მრავალი ორდენოსანი და მედალოსანი მრავალშვილიანი დედა ცხოვრობს. მათ შორის 38-ს „გმირი დედის“ წოდება აქვს მიღებული. მრავალშვილიანმა დედებმა მარტო ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფოსაგან დახმარების სახით 2.260.000 მანეთი მიიღეს.

დიდი მოგებანი

საჩხერე. (საკ. კორ.). სახელმწიფო სესხის ობლიგაციებზე რაიონის მშრომელები დიდ მოგებებს იღებენ. ამას წინათ გ. თანდილოვმა რაიონის შემნახველ სალაროში წარადგინა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის ასმანეთიანი ობლიგაცია, რომელსაც ხვდა 25.000 მანეთი მოგება. სოფელ სხვიტორის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ა. შუბითიძეს სახელმწიფო ორაროცენტიანი სესხის ორასმანეთიან ობლიგაციაზე 10.000 მანეთი მოგება ხვდა.

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს

ბრძოლა თვითეული წუთისათვის

ოცი წლის წინათ, როცა თბილისს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში დავიწყე მუშაობა, მეოთხე თანრიგის ხარატი ვიყავი. დაუღალავად ვმუშაობდი, დროს არ ვაცდენდი, მაგრამ წარმატებები არც ისე სახარბიელო მქონდა. ხშირად ვფიქრობდი, როგორ გამედიდებინა შრომის ნაყოფიერება.

ბევრი რამ შემძინა ტექნიკური ლიტერატურის კითხვამ. სამოდე წლის განმავლობაში მეშვიდე თანრიგი მივიღე, უფრო გავიწაფე და შევძელი ზოგიერთი სიახლე შემეტანა ჩემს მუშაობაში. პირველი წარმატება მოვიპოვე მაშინ, როცა უკეთ მოვაწყე სამუშაო ადგილი. თუ ჩარხის შემოწმება-გამართვა, დასამუშავებელი დეტალების მომარაგება და სხვა მოსამზადებელი სამუშაოები ყოველდღიურად ნახევარ საათზე მეტ დროს მართმევდა, მერე ადრე მოვდიოდი და მუშაობის დაწყებამდე ყველაფერი მზად მქონდა. უფრო მუყაითად მოვეკიდე მანქანის მოვლას და ისიც შეუფერხებლად მემსახურებოდა.

შრომის ნაყოფიერების ახალ აღმავლობას მივაღწიე ლითონის ჭრის სიჩქარის გადიდებითა და დამხმარე დროის შემცირებით. სანამ ჩქარაოსნულ ჭრაზე გადავიდოდი, შპინდელის ბრუნვის გასაიდიდებლად ჩარხს გამოვუცვალე ამძრავი, უფრო მძლავრი, 7-ცხენისძალიანი ძრავა დავუყენე. ამით შპინდელის ბრუნვა წუთში 1.000-მდე ავიყვანე, ხოლო ჭრის სიჩქარე — 350 მეტრამდე.

ჩარხზე დასამუშავებელი დეტალების ზუსტად დამაგრებას დიდხანს ვუნდებოდი. დამხმარე დროის შესამცირებლად გავაკეთე სპეციალური სამარჯვი, ეგრეთწოდებული კუთხოვანი მოწყობილობა. ახალი სამარჯვის გამოყენების შემდეგ მუშტა-საჭერების ცალცალკე რეგულირება აღარ მჭირდება. იგი საშუალებას მაძლევს სწრაფად და მყარად დავამაგრო დეტალი, მტკიცედ დავიცავ დამუშავების სიზუსტე და სისწრაფით შევუდგე ლითონის ჭრას. თვითეული დეტალის დამუშავებისას 15 წუთით ვამცირებ დამხმარე დროს.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ საჭრისების შერჩევასა და გამოყენებას; როდესაც ლითონს შავად ვამუშავებ, ვიყენებ ძალოსნური ჭრის მეთოდს, ვხმარობ სპეციალურ საჭრისს, შედარებით ვამცირებ შპინდელის ბრუნვას (200-300-მდე) და ვადიდებ მიწოდებას ერთნაბიჯად მილიმეტრამდე. ჩქარაოსნული ჭრის დროს პირიქით ვიქცევი — ვზრდი შპინდელის ბრუნვას 750-მდე და ვამცირებ მიწოდებას 0,2-0,3 მილიმეტრამდე. ჩქარაოსნული ჭრის მეთოდს ვიყენებ მაშინ, როცა დეტალს სუფთად ვამუშავებ. ამით ვიგებ დროს და ვზრდი შრომის ნაყოფიერებას.



ალექსანდრე მარგველაშვილი.

როცა რამდენიმე ერთნაირი დეტალი მაქვს ან თვითეულს რამდენიმე ოპერაცია სჭირდება, მაშინ ჩარხზე ყველა დეტალის დამუშავებას ჯერ ერთი ოპერაციის მიხედვით ვამთავრებ, შემდეგ რიგრიგობით გადავდივარ შემდგომი ოპერაციების მიხედვით მათს დამუშავებაზე. ამით დეტალის ხარისხსაც ვაუმჯობესებ, რადგან ზუსტად ვაყენებ ზომას ერთსა და იმავე წერტილზე და დროსაც ვიგებ.

როდესაც დეტალი ჩარხზე დამუშავებისას ვიბრაციას განიცდის და ამის გამო ყღარუნებს, პროდუქცია უსათუოდ წუნდებული გამოდის, ამ შემთხვევაში საჭრისის კუთხეს სპეციალური ქვის საშუალებით ოდნავ დავაბლაგვებ ხოლმე, რითაც ვანელებ ვიბრაციას, თავიდან ვიცილებ ყღარუნს. საჭრისის კუთხის დაბლაგვება ხელს უწყობს სიჩქარეს, სიზუსტეს და საერთოდ ხარისხის გაუმჯობესებას.

ღრმად დავრწმუნდი იმაში, რომ ბრძოლა თვითეული წუთის რაციონალურად გამოყენებისათვის შრომის ნაყოფიერების განუზრელი აღმავლობის აუცილებელი პირობაა. ასეთი მუშაობით გეგმის სისტემატურად 250-280 პროცენტით ვანაღდებ. რკინიგზელის დღესასწაულთან დაკავშირებით ჩავები სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვიკისრე ივნისისა და ივლისის გეგმა სამმაგად შევასრულო.

ჩემი მუშაობის გამოცდილებას სისტემატურად ვუზიარებ ახალგაზრდა ხარატებს. თვენახევარია, რაც ვამზადებ 8 კაცს ამწყობი საამქროდან. მათ შევასწავლე ლითონის ჩქაროსნული და ძალოსნური ჭრის მეთოდები. შემდეგშიც ენერგიას არ დავიშურებ წარმოებაში მოწინავე, პროგრესული მეთოდების ათვისებისა და დანერგვისათვის.

ა. მარგველაშვილი,
სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ამწყობი საამქროს ხარატი.

ლენინის მამის — ი. ნ. ულიანოვის ხსოვნის აღსანიშნავად

პენზა, 24 ივნისი. (საკდესი). პენზის ცენტრში, ძველ ცაცხვებს შორის, აღმართულია № 1 საშუალო სკოლის შენობა. აქ გასულ საუკუნეში მოთავსებული იყო პენზის სათავადაზნაურო ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტში ასი წლის წინათ პედაგოგად მუშაობა დაიწყო დიდი ლენინის მამამ — რუსეთში განათლების თვალსაჩინო მოღვაწემ — ილია ნიკოლოზის-ძე ულიანოვმა.

გუშინ ამ შენობის ფასადს ქალაქის საზოგადოებრიობის დასწრებით გაუკეთეს მემორიალური დაფა. მარმარილოზე ოქროს ასოებით ამოჭრილია:

„1855 წლის 7 მაისიდან
1863 წლის 22 ივნისამდე
აქ მასწავლებლად მუშაობდა
ილია ნიკოლოზის-ძე
ულიანოვი —
ვ. ი. ლენინის მამა“.

სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა სტუდენტების საერთაშორისო სემინარი

„სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა სტუდენტების საერთაშორისო სემინარი“ — ასეთი წარწერა გაჩნდა 22 ივნისს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კოლმეურნეობის კულტურის სახლის შენობაზე. დედამიწის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ მოსკოვში სტუდენტთა წარმომადგენლები, რათა განიხილონ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები.

სხდომათა დარბაზი მორთულია იმ ქვეყნების სახელმწიფო ალმებით, რომელთა დელეგაციები მონაწილეობენ სემინარში. ყველაზე თვალსაჩინო ადგილას გამოსახულია სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის ემბლემა.

დილის 11 საათზე სემინარის მონაწილენი ადგილებს იკავებენ მაგიდებთან. თვითეული დელეგაციის პირდაპირ არის ქვეყნის სახელწოდება — ავსტრია, ალბანეთი, ინგლისი, ბელგია, ბულგარეთი, უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, დანია, ჰოლანდია, ინდოეთი, ინდონეზია, ჩინეთი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი, სსრ კავშირი, ტუნისი, საფრანგეთი, ფინეთი, შვეიცარია, ჩეხოსლოვაკია, იაპონია. დელეგაციათა ნაწილი ჯერ კიდევ არ ჩამოსულა.

სემინარის მონაწილეებს მიესალმა სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის დიდიანი კომუნ შენი (ბირმა).

საბჭოთა ახალგაზრდობისა და სტუდენტების სახელით შეკრებილთ მიესალმა საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ბ. ვდოვინი.

სემინარის მუშაობის პირველ დღეს პლენარულ სხდომებზე მოსმენილ იქნა მოხსენებანი: ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრის ი. დ. ლატეევისა „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების თანაფარდობის პრობლემა“ და აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოსა „მეცნიერთა კვებისა და ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების საკითხები“. (საკდესი).

კურეულის მოსავალი ავიღოთ 10 დღეში

პირველი განალეწი პური სახელმწიფოს

გარეშანი. („კომუნისტის“ კორ.). პურეულით დატვირთული ავტომანქანები დაიძრნენ „ზაგოტზერნოს“ მიმღები პუნქტისაკენ. კოლმეურნეობები პირველ განალეწ მარცვლეულს სახელმწიფოს ბარებენ.

სოფელ გლდანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ „ზაგოტზერნოს“ ნავთლუღის მიმღებ პუნქტს უკვე ჩაბარა 26 ტონა კარგი ხარისხის ქერი. სოფელ თელეთის კოლმეურნეობამ — 4 ტონა, ხოლო სოფელ წყნეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ — 3 ტონა ქერი.

• • •

ყვარელი. (საკ. კორ.). ყვარლის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში დღითიდღე ძლიერდება მოსავლის აღების ტემპი. ჭიკანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში პურის მკაზე კომბაინერი ბ. მოდებაძე მუშაობს. მან პირველ დღეს მოსავალი 15 ჰექტარზე აიღო, ამჟამად კი დღეში 20 ჰექტარზე ნაკლებს არა მკის. სოფელ ვალიანში ბ. ბეგალიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში ალ. ბოროდინის სახელობის ბრიგადის ბრიგადირ ალ. ბოროდინის ბრიგადა ბ. ბეგალიშვილის ბრიგადასთან ერთად ამთავრებს ხელოვნურ ბალახოვანი ბალახის ბოლოს ბალახის ბალახის ბალახის

ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში

პარტორგანიზაციის მდივნების სემინარი

ჭიათურა. (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა ამ დღეებში მოაწყო პარტიული ორგანიზაციის მდივნების სემინარი, რომელიც სამოცამდე კაცმა გაიარა.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები და მოხსენებები პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის აქტუალურ საკითხებზე, მრეწველობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის შესახებ და სხვ.

ლექციები და მოხსენებები წაიკითხეს ქალაქკომის მდივნებმა ამხ. შ. ხიდაშელმა, უ. სხირტლაძემ, მარგანეცის ტრესტის მმართველმა შ. შეყლაშვილმა და ქალაქკომის განყოფილებათა გამგეებმა.

აგიტპროპგანყოფილებათა რაიონული თათბირი

პარტიის აბაშის რაიკომმა ამ დღეებში მოაწყო აგიტატორთა რაიონული თათბირი, რომელსაც 300-მდე აგიტატორი დაესწრო.

თათბირზე მოხსენება — ნათესების მოვლა-დამუშავება და აგიტატორთა ამოცანები — გააკეთა პარტიის აბაშის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. პ. ნოდიამ.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ აგიტატორები თ. მიქაძე, პ. ჯინორია, ი. გეგეშიძე, ს. ლოჩოშვილი და სხვები, სულ 12 კაცი.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში კარგად არის მოწყობილი სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. სოფელ სეფიეთის სტალინის სახელობის და სოფელ ძველი აბაშის ბალენკოვის სახელობის კოლმეურნეობებში აგიტატორები სისტემატურად მართავენ საუბრებს, რაზმავენ კოლმეურნეებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებათა განსახორციელებლად. ამავე დროს თათბირზე გამოირკვა, რომ სოფლების წყემის, პირველი მაისის, კეთილარის, ნორიოს საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებთან არსებული აგიტკოლექტივები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, კოლმეურნეობებში ჩაშლილია სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, აგიტატორები იშვიათად დადიან ბრიგადებში, არ აწყობენ საუბრებს, არ უშვებენ საველე გაზეთებს. აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები ვ. კუპრეიშვილი, ს. სანიკიძე, ვ. სტურუა და სხვები სუსტ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევენ აგიტატორებს, არ იჩენენ მათდამი სათანადო მომთხოვნელობას.

თათბირის მუშაობა შეაჯამა პარტიის აბაშის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. მ. თელიამ.

ი. თოფურია.

სევასტოპოლში

ზაფხულია. ივნისის მზის სხივები აცხუნებს თეთრი ქვისაგან ნაგებ სევასტოპოლს. შავი ზღვის სანაპიროს ბულვარის ბალუსტრადასთან დიდძალ ხალხს მოუყრია თავი. ტკბებიან მშვენიერი სანახაობით, გაჰყურებენ ზღვას.

იქ, გარეთა რეიდზე, სადაც უზარმაზარი რუხი საბრძოლო ხომალდები დგანან, ოდესღაც იდგა ლეგენდარული ჯავშნოსანი „პოტიომკინი“, რომელზეც 50 წლის წინათ რევოლუციის წითელი დროშა აფრიალდა.

ეს ისტორიული ამბავი მოხდა რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, რომელმაც მოიცვა რუსეთის მუშები და გლეხები და მძლავრი გავლენა მოახდინა არმიასა და ფლოტზე.

სევასტოპოლის მშრომელები, შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურები ამაყობენ იმით, რომ „პოტიომკინის“ აჯანყება მოხდა შავი ზღვის ნაპირზე. გმირი ქალაქის საზოგადოებრივობა და სამხედრო მეზღვაურები ფართოდ აღნიშნავენ სახელოვან 50 წლისთავს.

ამ დღეებში მრავალ ადამიანს იზიდავს შავი ზღვის ფლოტის მუზეუმი. მისი ექსპოზიცია გვაცნობს ფლოტის სახელოვან ისტორიას, უმნიშვნელოვანეს ამბებს, რომლებიც ფლოტში მოხდა ორი საუკუნის მანძილზე.

ჯავშნოსან „პოტიომკინის“ აჯანყებისადმი მიძღვნილ სტენდებთან განსაკუთრებით ბევრ ექსკურსანტს მოუყრია თავი. ისინი ინტერესით ათვალიერებენ ექსპონატებს.

ამ დღეებში მუზეუმის მნახველთა ყურადღება მიიპყრო არაჩვეულებრივმა სურათმა. სტენდებს მიუახლოვდა ხანში შესულ ჭაღარა ადამიანთა ჯგუფი. ისინი სამეფო ყარაულივით ჩამწკრივდნენ და რამდენიმე ხანს გაჩერდებული იდგნენ. ისინი შეჰყურებდნენ გაწთქმული ჯავშნოსნის მოდელს და იხსენებდნენ იმ მღელვარე დღეებს დაუვიწყარ ამბებს. ნახევარი საუკუნის წინათ ასეთ, მხოლოდ 150-ჯერ უფრო დიდ, გემბანზე მოხდა ამბავი, რომელმაც ჯავშნოსანი რევოლუციური მოძრაობის ცენტრში მოაქცია.

მოხუცები შესცქეროდნენ ათანასე მატიუშენკოს და გრიგოლ ვაკულინჩუკის სახეებს, რომელთა სკულპტურული პორტრეტები დადგმულია მუზეუმში. სასიხარულოა იმის განცდა, რომ მგზნებარე რევოლუციონერების სახელი დარჩა ხალხის მეხსიერებაში, მათმა გმირობამ ჩვენამდე მოაღწია და მარად იცოცხლებს.

ეი ლამაზ ჩარჩოში ჩასმულია შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა რევოლუციური კომიტეტის დადგენილება, მიღებული „პოტიომკინზე“ აჯანყების დაწყების წინ. ეს დოკუმენტიც კარგად ახსოვთ მუზეუმში მოსულ მოხუცებს.

ან როგორ არ უნდა ახსოვდეთ! ისინი ხომ ჯავშნოსან „პოტიომკინის“ აჯანყების აქტიური მონაწილეები, ძველი თანამებრძოლი მეგობრები არიან. არც მათი სახელებია დავიწყებული. ისინი შავი ზღვის ფლოტის სარდლობას მოუპატიჟებია ზეიმზე ჯავშნოსან „პოტიომკინის“ აჯანყების 50 წლისთავთან დაკავშირებით.

პოტიომკინელებმა ი. ა. ლიჩევმა, ი. პ. შესტიდესიატმა, ა. ფ. კარეევმა, სასწავლო გემ „პრუტზე“ მომზადარი აჯანყების მონაწილემ ა. მ. ლებედმა და ჯავშნოსან „გეორგი პობედონოსეცის“ ყოფილმა ნაღმმეძარაგნემ მ. პ. პანფილოვმა კმაყოფილებით დაათვალიერეს სევასტოპოლი და გამოთქვეს თავიანთი აღტაცება აღორძინებული ქალაქის მშვენიერების გამო.

ძველი რევოლუციონერები სევასტოპოლის მშრომელებისა და შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურების წინაშე გამოვიდნენ მოგონებებით მაშინდელი ამბების და ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ მომზადარი აჯანყების ხელმძღვანელთა შესახებ.

როდესაც ი. ა. ლიჩევი სევასტოპოლში იმყოფებოდა, მიღებულ იქნა ცნობა, რომ იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით და რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის. ი. ა. ლიჩევის სახელზე მიღებულ იქნა ბევრი მისასალმებელი დეპეშა.

სევასტოპოლელები წმიდად ინახავენ „პოტიომკინის“ გმირების ხსოვნას. ქალაქის ერთ-ერთ რაიონს ეწოდება მატიუშენკოს მთა, დიდ სლობოდას გრიგოლ ვაკულინჩუკის სახელი მიეკუთვნა. წლითიწლობით იცვლიან სახეს ქალაქის ეს რაიონები. იქ მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა, ქუჩების კეთილმოწყობა, რგავენ ხეებსა და ბუჩქებს. ეს რაიონები ქალაქის ცენტრთან დაკავშირებული არიან ავტობუსებითა და ტროლეიბუსებით.

შავი ზღვის ფლოტის მთავარი ბაზა — სევასტოპოლი ზეიმით აღნიშნავს სახელოვან 50 წლისთავს. ხალხის მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლება პოტიომკინელების, სახელოვანი რევოლუციონერების გმირობა, პოტიომკინელებისა, რომელთა დევიზი იყო ხალხისადმი თავდადებული სამსახური.

ა. გალინი.



ქ. სევასტოპოლის შავი ზღვის ფლოტის მუზეუმი ცხოველ ინტერესს იწვევს ჩვენი ქვეყნის მშრომელებში. მას ყოველდღიურად ასობით საბჭოთა ადამიანი ნახულობს. ექსკურსანტებს განსაკუთრებით იზიდავს ჯავშნოსან „პოტიომკინის“ აჯანყებისადმი მიძღვნილი სტენდი. სურათზე: ჯავშნოსან „პოტიომკინის“ მაკეტთან.

ფოტო ა. ბაეენოვისა.

მეცხოველე კორნეჩიხინების ოჯახი

შილოვოს რაიონის სოფელ იუშტის კოლმეურნეობა „ფუნდამენტ სოციალიზმა“ მაღალპროდუქტიული მეცხოველეობით განთქმულია მთელ რიაზანის ოლქში. სამეურნეო წლის 8 თვეში კოლმეურნეობამ საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღო 1.544 კილოგრამი რძე. კოლმეურნეობის წარმატების მოპოვებაში სერიოზული დამსახურება მიუძღვით სტეფანე ფატეის-ძე კორნეჩიხინს და მის ოჯახს, კორნეჩიხინები შთამომავლობით მეცხოველეები არიან. 12 კორნეჩიხინი რამდენიმე წელია თავდადებულად მუშაობს საკოლმეურნეო ფერმაში. ოჯახის მეთაური სტეფანე ფატეის-ძე კორნეჩიხინი, რომელიც 70 წელს გადაცილებულია, საუკეთესო მწყემსად ითვლება.

სტეფანე კორნეჩიხინის ცოლი ანა ანდრიას ასული 71 წლისაა, ბუჯეტად შრომობს თავისი საყვარელი საქმის — მეცხოველეობის წინ წასაწევად. ძვირფასი რჩევა-დარიგებით იგი სერიოზულ დახმარებას უწევს ახალგაზრდებს ხბოების გაზრდის საუკეთესო მეთოდების შესწავლაში.

კორნეჩიხინთა ქალიშვილები ეკატერინე, მარიამი და ანა მწველავებად მუშაობენ. მეოთხე ქალიშვილი პრასკოვია სტეფანეს ასული მეცხოველეობის საქმის დიდი ოსტატია და ამ დარგში მისი მუშაობა სანიმუშოა ჩვენი ახალგაზრდობისათვის. უკანასკნელ ორ წელიწადში პრასკოვია კორნეჩიხინამ წველადობის სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია. — თვითეულ ძროხაზე მიიღო 7.542 ლიტრი რძე. პრასკოვია სტეფანეს ასული ახლა ზოოტექნიკოსია და კოლმეურნეობის მეცხვარეობისა და მეფრინველეობის ფერმის გამგედ მუშაობს.

სტეფანე ფატეის-ძე კორნეჩიხინის ერთი ვაჟი ვასილი კოლმეურნეობის ვეტფერშლად მუშაობს, მეორე ივანე — მეცხენედ.

სტეფანე კორნეჩიხინის შვილიშვილები ნიკოლოზი, ალექსანდრე, ივანე და მაშა ფერმაში წავიდნენ სამუშაოდ. კორნეჩიხინების მესამე თაობამაც თავისი ბედი საკოლმეურნეო მეცხოველეობას დაუკავშირა.

კორნეჩიხინთა ოჯახის წევრები ერთად შრომობენ კოლმეურნეობის გადამწყვეტ უბანზე, თავიანთ ძალას, ცოდნას და გამოცდილებას არ იშურებენ მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში. ისინი ერთად ცხოვრობენ და საბჭოთა ოჯახის საუკეთესო ნიმუშს იძლევიან.

1954 წელს კორნეჩიხინთა ოჯახმა კოლმეურნეობაში 4.000-ზე მეტი შრომადღე გამოიმუშავა. ოჯახის წევრები იბრძვიან იმისათვის, რომ მეცხოველეობაში სამეურნეო წლის ბოლოსათვის თვითეულ ძროხაზე მიიღონ 3.000 კილოგრამი რძე.

მეცხოველე კორნეჩიხინების შრომითი მამაცობა ღირსეულად დაფასდა. კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში უმწიკვლო და ნაყოფიერი მუშაობისათვის და მრავალი წლის განმავლობაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სტეფანე ფატეის-ძე კორნეჩიხინი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, ხოლო ოჯახის დანარჩენი წევრები საბჭოთა კავშირის მედლებით.

თ. სიმონიშვილი.

მტს-ის ახალი შენობა

ბალი. (საკ. კორ.). დამთავრდა ბალის მტს-ის ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა. კეთილმოწყობილ ორსართულიან სახლში მოთავსდა მტს-ის დირექციის აპარატი, სადისპეტჩერო, წითელი კუთხე, სალექციო დარბაზი, სასადილო. ამავე შენობაში სამუშაოდ გადავიდა პარტიის რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში. ზონის ინსტრუქტორებისათვის გამოყოფილია ცალკე ოთახი.

წერილი რედაქციის გმირებს

გულითად მადლობას გუძღვნი ყველა ორგანიზაციას, დაწესებულებასა და პირს, რომლებმაც მომილოცეს ჩემი დაბადების სამოცი წლისთავი და სოციალისტური შრომის გმირის წოდების მონიჭება.

ნ. ბულგანინი.

სიმინდის წარმოების გადიდების რეზერვები

ჩვენს რესპუბლიკაში ყველა პირობაა სიმინდის წარმოების გადიდებისათვის. მაგრამ ამას ყველგან როდი ეყენებენ. მაგალითად, კოლხიდის დაბლობზე სიმინდის კულტურის და მეცხოველეობის განვითარების დიდი გამოუყენებელი რეზერვებია.

კოლხიდა საქართველოს სს რესპუბლიკაში საუკეთესო ნოყიერ ნიადაგებიანი ზღვისპირა ადგილია და შეადგენს 220 ათას ჰექტარს — მდინარე კოდორიდან ქობულეთამდე.

კოლხიდაში ამოშრობილია 39,5 ათასზე მეტი ჰექტარი უნოყიერესი მიწა. აქ დიდი შესაძლებლობანია მეცხოველეობის, მეაბრეშუმეობის, მეფოსტეობის განვითარებისათვის. ამასთან აქ მნიშვნელოვან ფართობებზე შეიძლება გაშენდეს ჩაი, თუთა, დაფნა, თხილი, სუბტროპიკული ხეხილი და სხვა კულტურები.

იმისათვის, რომ კოლხიდაში ფართობები მომზადდეს ძვირფასი კულტურების გასაშენებლად, საჭიროა პირველ წლებში დაითესოს ერთწლიანი წინამორბედი კულტურები. ასეთია სიმინდი და სოია. ისინი უხვ მოსავალს იძლევიან და შესაძლებელს ხდიან მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის მძლავრ განვითარებას.

მიუხედავად ასეთი შესაძლებლობებისა, კოლხიდის დაშრობილი მიწების მოვლას დღემდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. დამშრალი მიწებიდან 17.600 ჰექტარზე მეტი ფართობი ტყე-ბუჩქნარებით არის დაკავებული და აუთვისებელია.

დიდი რაოდენობით არის აუთვისებელი მიწები ხობის, ცხაკაიას და აბაშის რაიონებში.

ათვისებულ ფართობებზე არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვისა და მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებანი, რის გამო დაბალია მოსავლიანობა.

კოლხიდაში ცუდად უვლიან მრავალწლიან კულტურებს, განსაკუთრებით ჩაის. ამან გამოიწვია ჩაის ბუჩქების დაკნინება, ზოგ შემთხვევაში კი მათი დაღუპვაც.

ყურადღება არ ექცევა დასაშრობი სისტემის წესრიგზე მოყვანას. შემკრები ქსელი, რომლის მოვლა-პატრონობა კოლმეურნეობებსა და სსრკ საბჭოთა მეურნეობებს ევალებათ, დასარევლიანებულია და მეტწილად დაკარგული აქვს წყლის გატარების უნარი. ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ვხვდებით განმეორებით დაჭაობებას.

კოლხიდაში შესაძლებელია გადიდდეს სიმინდის და სოიის ნათესი ფართობი სულ ცოტა 8-10 ათასი ჰექტარით, ამასთან მკვეთრად გაუმჯობესდეს ამ კულტურების თესვისა და მოვლის აგროტექნიკა.

სათესი ფართობების გადიდებით და მოსავლიანობის გაზრდით კოლხიდაში შეიძლება დამატებით მივიღოთ მილიონობით ფუთი სიმინდისა და სოიის მოსავალი, ამასთან დიდძალი უხეშში და წვნიანი საკვები და შევქმნათ მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეობისათვის.

თვითეულ კოლმეურნეობას და სსრ-ჭოთა მეურნეობას უნდა მიეცეს დავალებანი შემკრები ქსელის გაწმენდა-გასუფთავებისათვის.

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია დააჩქაროს მაგისტრალური და კოლექტორული არხების გაწმენდის სამუშაოები და უახლოეს დროში მოიყვანოს ისინი სრულ წესრიგზე, ამასთან კვალიფიციური ტექნიკური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებს შემკრები ქსელის გაწმენდის სამუშაოებში.

კოლხიდაში ტყე-ბუჩქნარისაგან ფართობების გაწმენდა დიდი მოცულობის სამუშაოა და კოლმეურნეობებს მარტო თავისი ძალებით მისი შესრულება გაუძნელდებათ. ამ მხრივ ჭალადიდის, ქვალონის, ხობის, ცხაკაიას და აბაშის მტს-ებს დიდი სამუშაოებები აქვთ. მხედველობიდან არ უნდა გამოვუშვათ, რომ კოლხიდაში ტყე-ბუჩქნარით დაკავებული ფართობების გაწმენდისას საჭიროა დავტოვოთ ქარსაცავი ტყის ზოლები, რაც დიდად შეუწყობს ხელს მოსავლიანობის გადიდებას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დახმარება უნდა გაუწიოს კოლხიდის ზონის მტს-ებსა და კოლმეურნეობებს ახალი მიწების ათვისებაში, გრძელვადიანი კრედიტების გამოყოფისა და სხვა საქმეში.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღეს დადგენილება, რომელშიც გათვალისწინებულია ღონისძიებანი კოლხიდის დაშრობილი ფართობების ათვისებისა და დასაშრობი ქსელის მოვლის გასაუმჯობესებლად. ეს დადგენილება დიდად შეუწყობს ხელს ამ სამუშაოთა დაჩქარებას.

კოლხიდის ზონის რაიონებს ყველა შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანები და მისცენ ჩვენს ქვეყანას დამატებით მილიონობით ფუთი სიმინდი, მილიონობით კილოგრამი რძე, დიდი რაოდენობით ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები.

აგრონომი ა. თოფურია,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების გამყოფილების სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ჯგუფის უფროსი.

რუსეთის პირველი რევოლუციის თვალსაჩინო მოვლენა

საუკუნეები გავლენ, მაგრამ მადლიერი კაცობრიობა არ დაივიწყებს პირველ აჯანყებას ჯავშნოსან „პოტიომკინზე“, „ვერავითარი რეპრესია, ვერავითარი ნაწილობრივი გამარჯვება რევოლუციაზე, — წერდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, — ვერ მოსპობს ამ მოვლენის მნიშვნელობას“.

ჯავშნოსან „პოტიომკინის“ მატროსების აჯანყება მკაფიო და დაუვიწყარ ფურცლად შევიდა ჩვენი ისტორიაში. წინათაც იყო არმიისა და ფლოტის მეომართა ცალკეული შეტაკებანი ცარიზმთან, მაგრამ ყველა იმათ შედარებით მალე ახშობდნენ მთავრობის ერთგული ჯარები. „პოტიომკინზე“ აჯანყების ჩახშობა ცარიზმმა ვერ შეძლო.

ამ ისტორიულ მოვლენას წინ ბევრი რამ უძღოდა. იზრდებოდა გაფიცვები ქალაქებში. გლეხთა გამოსვლები მემამულეთა წინააღმდეგ. აახზედრო მეზღვაურების ქვიტკირის კედლით გამოყოფა ხალხისაგან აღარ შეიძლებოდა, რაც უნდა ცდილიყვნენ მეფის სატრაპები. მატროსთა მასა, რომელიც მნიშვნელოვანწილად მუშებისაგან შედგებოდა, თავისი სამსახურის თავისებურებათა გამო მუდამ დაკავშირებული იყო გემთმშენებელი და გემთშემკეთებელი ქარხნების მუშებთან, სადაც ბოლშევიკების პარტია დიდ მუშაობას ეწეოდა. გარდა ამისა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივი კომიტეტები დაკავშირებული იყვნენ მატროსებთან და ჯარისკაცებთან, ჯარის მთელ ნაწილებთან და ხომალდებთან.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სევასტოპოლის არალეგალურ კომიტეტთან 1904 წელს მოეწყო შავი ზღვის ფლოტის სოციალ-დემოკრატიული სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრი, რომელსაც მოკლედ „სევასტოპოლის მატროსთა ცენტრალკას“ ეძახდნენ. ეს ცენტრი ხომალდებზე და ნაწილებში ქმნიდა სოციალ-დემოკრატთა არალეგალურ ჯგუფებს. ასეთი ჯგუფი ჯავშნოსან „პოტიომკინზეც“ იყო. მას ხელმძღვანელობდა „ცენტრალკის“ წევრი, არტილერიის უნტერ-ოფიცერი, ბოლშევიკი გრიგოლ ვაკულინჩუკი.

ითვალისწინებდა რა რუსეთში რევოლუციის გაძლიერების საერთო მსვლელობას, „ცენტრალკა“ გეგმავდა ფლოტში აჯანყება მოეწყო მაშინ, როცა შავი ზღვის ფლოტის ხომალდებს ტენდრის ყურეში შეკრებდნენ ზაფხულის წვრთნისათვის.

მანამდე მატროსთა შორის გაძლიერებით ეწეოდნენ რევოლუციურ აგიტაციას. ხომალდებზე მიჰქონდათ რევოლუციური შინაარსის ფურცლები, გაზეთები, ბროშურები. მატროსებს იწვევდნენ მუშათა კრებებზე ან მაისობაზე, რომელსაც ქალაქგარეთ აწყობდნენ.

1905 წლის 20 ივნისს სევასტოპოლის ციხის ჯარისკაცთა შორის მღელვარება დაიწყო. თავის მხრივ, მატროსებმა უარი თქვეს ესროლათ ჯარისკაცებისათვის და ამით არ შეასრულეს უფროსთა ბრძანება. ადმირალმა ჩუხნინმა განკარგულება გასცა ყველა „არასაიმედო“ ჩამოეწერათ ხომალდებიდან, ხოლო ესკადრა — ფლოტის ძირითადი საბრძოლო ბირთვი გაეყვანათ ტენდრის ყურეში, სადაც ჩვეულებრივ წარმოდგა ზაფხულის სასწავლო მეცადინეობა და წვრთნა.

ჩუხნინის ამ განკარგულებას ორი მიზანი ჰქონდა: მატროსები წაეყვანათ შორეულ მიყრუებულ რეიდზე, რათა ჩამოეშორებინათ სევასტოპოლელი მუშებისათვის, და ამავე დროს გაეთიშათ ხომალდებიდან ეკიპაჟები. ტენდრის ყურეში დგომა ჩვეულებრივ ხორციელდებოდა ისე, რომ მატროსებს ნაპირზე არ უშვებდნენ.

25 ივნისს „პოტიომკინი“ პირველი წავიდა ტენდრის ყურეში. მეორე დღეს საღამოს ოდესიდან ტენდრას მიადგა № 267 ნაღმოსანი, რომელმაც პროდუქტები მოიტანა. ნაღმოსნიდან პროდუქტების გადმოცლის დროს „პოტიომკინის“ მატროსებმა შეიტყეს, რომ ოდესაში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა და შეიარაღებული შეტაკება მოხდა მუშებსა და ჯარს შორის. ამან კიდევ უფრო გააძლიერა „პოტიომკინელების“ რევოლუციური აქტივობის აღმავლობა. საკმაო იყო მცირე საბაბი, რომ აფეთქება მომხდარიყო. ასეთი საბაბი გახდა მატლიანი ხორცი, რომელიც ნაღმოსანმა მოიტანა.

მთავრობა მატროსის რაციონისათვის მეტად მცირე თანხას იძლეოდა. მაგრამ ამ თანხის უდიდესი წილიც კი ოფიცერთა ჯიბეში მიდიოდა, რომლებიც ულმობლად ქურდავდნენ მატროსებს. ოფიცრები, რომლებიც ხომალდის მეურნეობას განაგებდნენ, მათ შორის თვით მეთაურიც, ხშირად იაფად ყიდულობდნენ ასეთ სურსათს, რომელიც საჭმელად აშკარად არ ვარგოდა.

ასე მოხდა ამჯერადაც. ეკიპაჟისათვის ნაყიდი გაფუჭებული ხორცით ბორშჩი მოხარშეს. მატროსებმა უარი თქვეს ესროლათ ჯარისკაცებისათვის და ამით არ შეასრულეს უფროსთა ბრძანება. ადმირალმა ჩუხნინმა განკარგულება გასცა ყველა „არასაიმედო“ ჩამოეწერათ ხომალდებიდან, ხოლო ესკადრა — ფლოტის ძირითადი საბრძოლო ბირთვი გაეყვანათ ტენდრის ყურეში, სადაც ჩვეულებრივ წარმოდგა ზაფხულის სასწავლო მეცადინეობა და წვრთნა.

ამან ისეთი რისხვა გამოიწვია, რომ მატროსები სტიქიურად აჯანყდნენ, დახოცეს ყველაზე სძულველი ოფიცრები და „მარსელიოზის“ სმოღერით წითელი ალამი ამართეს ანძაზე. ბოლშევიკები ჯერ ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ ნაადრევი აჯანყება, მაგრამ, როცა ცხადი გახდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, სათავეში ჩაუდგნენ მას.

ოფიცრებთან შეტაკებაში სასიკვდილოდ დაიჭრა ხომალდის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი — ბოლშევიკი გ. ვაკულინჩუკი. მისი სიკვდილის შემდეგ აჯანყებულებმა პირჩიეს გემის კომისია, რომელსაც დაავალეს ჯავშნოსნის მართვა. კომისიას სათავეში ჩაუდგა ათანასე მატიუშენკო — გაბედული და მტკიცე ადამიანი, მაგრამ პოლიტიკურად სუსტი და აშკარად უვარგისი ხელმძღვანელი. ხომალდის მეთაურობაზე დათანხმდა პრაპორშჩიკი ალექსეევი, რომელიც მეტად შორს იყო რევოლუციისაგან.

№ 267 ნაღმოსნის თანხლებით ჯავშნოსანი ოდესაში წავიდა. ქალაქის გაფიცულმა მუშებმა რეალურ შეიარაღებულ ძალად მიიჩნიეს იგი რევოლუციური მოვლენების შემდგომი განვითარებისათვის. მაგრამ პოტიომკინელთა უბედურება ის იყო, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ოდესის ორგანიზაციაში, ისევე როგორც სევასტოპოლში, ბევრი იყო მენშევიკი, რომლებიც ყოველნაირად უშლიდნენ ხელს აჯანყებული ეკიპაჟის აქტიურ მოქმედებას.

გარნიზონის უფროსმა ქალაქში თავი მოუყარა მთავრობის ერთგულ ჯარებს. პოლიცია პროვოკაციული მიზნით ხელს უწყობდა ანარქისტული ელემენტების მოქმედებას. მათ დაიწყეს ძარცვა, აწყობდნენ ცეცხლის წაკიდებას. რუსეთისა და უცხოეთის რეაქციული პრესა გაიძახოდა, „ოდესაში ანარქია დაიწყო“, და ამას „პოტიომკინის“ ჩასვლას უკავშირებდა. ვ. ი. ლენინმა ოდესის ამბების სახელმძღვანელოდ გაგზავნა ბოლშევიკი ვასილიევ-იუჟინი. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ოდესაში მაშინ ჩავიდა, როცა „პოტიომკინი“ იქიდან წასული იყო.

გემის კომისიაში ერთიანობა არ იყო მოვლენათა შეფასებასა და მისი ეკიპაჟის მოქმედების მიმართულებაში. ეს იმით აიხსნებოდა, რომ კომისიაში ბოლშევიკებთან ერთად მენშევიკები, ესერები და ანარქისტებიც შედიოდნენ.

ოდესის მოსახლეობა მხურვალედ მიესალმა პოტიომკინელებს. ვაკულინჩუკის დაკრძალვა, მიუხედავად პოლიციის წინააღმდეგობისა, მძლავრ პოლიტიკურ დემონსტრაციად იქცა. სამგლოვიარო მიტინგზე გამოვიდნენ ბოლშევიკი ორატორები, რომლებიც მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ. მაგრამ დაკრძალვის შემდეგ, რომლის დროსაც მასების განწყობილება ისეთი იყო, რომ შეიძლებოდა დაეწყოთ გადამწყვეტი მოქმედება, ვერც ოდესის კომიტეტმა, ვერც ჯავშნოსნის ხელმძღვანელებმა ვერ გამოიყენეს ხომალდის მრისხანე იარაღი. ამით უწინარეს ყოვლისა გამომჟღავნდა აჯანყების ხელმძღვანელთა პოლიტიკური მოუმწიფებლობა.

30 ივნისს ჰორიზონტზე გამოჩნდნენ ხომალდები, რომლებიც სევასტოპოლიდან გაიგზავნა ჯავშნოსნის აჯანყებული ეკიპაჟის ჩასახშობად.

პოტიომკინელები საბრძოლველად მოემზადნენ. ხომალდზე აფრიალდა ნიშანი „შეაჩერეთ ცვლა, თორემ გესვრით“. ხომალდების რაზმმა შეანელა სვლა. კონტრ-ადმირალმა ვიმნეევეცკიმ „პოტიომკინს“ გადასცა სიგნალი დანებებულიყო, მაგრამ მტკიცე უარი რომ მიიღო, უკან მიაბრუნა ხომალდები ფლოტის მთავარი ძალებისაკენ, რომლებსაც სათავეში ედგა ვიცე-ადმირალი კრიგერი.

რამდენიმე საათის შემდეგ გამოჩნდა მთელი ესკადრა კრიგერის ალმით. „პოტიომკინი“, რომელზეც ამაყად ფრიალებდა წითელი ალამი, მის წინაღმდეგ გაემართა. ეს დაუვიწყარი სურათი იყო. „პოტიომკინის“ ქვემეხები მიმართული იყო ჯავშნოსან „როსტისლავის“ წინააღმდეგ, სადაც თავისი ალამი ჰქონდა აღმართული კრიგერს. და ახლა არა მეფის ადმირალი, არამედ მატროსი ათანასე მატიუშენკო სიგნალით უბრძანებდა ესკადრას, შეჩერდიო.

კრიგერი მიხვდა, რომ ვერაფერს გააწყობდა რევოლუციურ ხომალდთან და გასცა ბრძანება უკან გაბრუნების შესახებ. ამ დროს „პოტიომკინს“ შეუერთდა ჯავშნოსანი „გეორგი პობედონოსეცი“.

რევოლუციის ძალები გაორკეცდა, მაგრამ დიდი ხნით კი არა. „გეორგიზე“ მოღალატე ოფიცრებმა შეძლეს ხომალდის მეჩეჩზე გარიყვა. ამ ჯავშნოსნის მატროსების უმრავლესობამ, რომლებიც დაამინეს ოფიცრებმა, ნრძოლის განგრძობის შესაძლებლობა დაკარგეს და ერთგულება გამოუცხადეს მთავრობას.

„პოტიომკინზე“ ცოტა იყო ქვანახშირი, წყალი და სურსათი. ოდესის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებმა, რასაკვირველია, არაფერი არ მისცეს აჯანყებულ ხომალდს. უფრო მეტიც, ისინი მატროსების წინააღმდეგ საბრძოლველად ამზადებდნენ ჯარებს.

ჯავშნოსნის კომისიის სპეციალურ თათბირზე გადაწყდა დაბრუნებულიყვნენ რუმინეთში, გამოეცხადებინათ თავი პოლიტიკურ ემიგრანტებად, ხოლო ჯავშნოსანი ჩაებარებინათ რუმინეთის ხელისუფლებისათვის, რომელიც შემდეგ მას რუსეთის მთავრობას გადასცემდა. „პოტიომკინმა“ დარჩენილი ქვანახშირი გამოიყენა და კონსტანცაში მივიდა.

რუმინეთის მშრომელი მოსახლეობა მხურვალედ მიესალმა რევოლუციისათვის რუს მეხრძოლებს, დაეხმარა მათ სამუშაოზე მოწყობაში ან სხვა ქვეყნებში წასვლაზე. პოტიომკინელებმა გამოაქვეყნეს მიმართვა „მთელი ცივილიზებული კაცობრიობისადმი“, რომელშიც განმარტებული იყო ამბების მსვლელობა. ვ. ი. ლენინი, რომელიც განუწყვეტლივ ადევნებდა თვალყურს რუსეთის ამბების განვითარებას, მხურვალედ მიეესალმა რევოლუციური ხომალდის ეკიპაჟს და „რევოლუციის დაუმარცხებელი ტერიტორია“ უწოდა მას.

ეკიპაჟის მცირე ნაწილი დაბრუნდა რუსეთში, სადაც იგი გაასამართლეს. პოტიომკინელთა უმეტესობა კი რუსეთში დაბრუნდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ და მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ძლიერების-ზრდისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე გახდა. ახლაც ცოცხალია ბევრი პოტიომკინელი, რომლებიც ისტორიული ხომალდის რევოლუციური ტრადიციებით ზრდიან საბჭოთა ახალგაზრდობას.

საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმ გმირობას, რომელიც ორმოცდაათი წლის წინათ მოახდინა ლეგენდარული ჯავშნოსნის ეკიპაჟმა. ეს გმირობა მოგვიწოდებს მოვი

ფელეტონი

„ექიმი-მასაჟისტი“...

კაცი ხელობით ცხოვრობს. ზოგი დურგალია, მშენებელი, ზოგი ზეინკალი, ზოგიც ცომის მზელავი. ისინი პატიოსანი შემოქმედებითი შრომით ამაყობენ. მაგრამ ჩვენი ფელეტონის გმირს კი სხვა გზა და სხვანაირი „ზელვა“ აურჩევია ხელობად.

...ფეხბურთელების მწვანე მოლზე გამოსვლას მაყურებლები მოუთმენლად ელოდებიან. მატჩის დაწყებამდე დარჩენილი დრო გულშემატკივართა ცხარე მსჯელობის წუთებია!

სტადიონის ნათელ დარბაზებში კი ახოვანი ვაჟკაცები მატჩისათვის ემზადებიან. ასეც უნდა იყოს: რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვას, ათასობით გულშემატკივართა იმედის გამართლებას ცდილობენ...

აგერ რბილ საწოლზე წამოწოლილ ფეხბურთელს ექიმი თავს დასდგომია და ეუბნება:

— კუნთები მაგრად დაიზილე!..

— ბოდიში, მაგრამ კარგად არ ვიცი, როგორ უნდა დავიზილო!

— მიგითითე და გათავდა!..

„დინამოს“ სტადიონის ექიმი-მასაჟისტი (შინაურულად მას „ზილავს“ ეძახიან) ალექსანდრე დეკანოზიშვილი აინუნშიც არ იგდებს ფეხბურთელის თხოვნას, არ ასრულებს თავის მოვალეობას. იგი ფანჯრიდან გასცქერის ამბიბინებულ მინდორს, მოშრიალე ალვის ხეებს.

...მატჩი დაიწყო. ფეხბურთის მოედანზე მეტოქეთა ასპარეზობაა. ღელავენ მაყურებლები. სწორედ ამ დროს ნერვებდამშვიდებულ ექიმ-მასაჟისტის კაბინეტში შემოდის დაბალი ტანის კაცი:

— პასპორტი მზად არის? — კითხულობს ის.

— სიტყვა სიტყვაა, ვთქვი და გათავდა, — უპასუხებს ექიმი.

— ვიცი, ვიცი... ცარიელ ქოთანში თითს არ ჩაჰყოფ, — მოურიდებლად ეუბნება მოსული. ექიმმა უმალვე გახსნა ტყავის დიდი პორტფელი, ქაღალდებში მოძებნა პასპორტი, გადაფურცლა, ხელი მოაწერა, დაულოცა და გადასცა მეგობარს, გაქნილ რეციდივისტს სარიკ კარაპეტის-ძე მანასელიანს (პასპორტი გაუფორმა ზახარ იოსების-ძე რაზმაძის სახელზე).

— ახლა წადი... ინავარდე, — უთხრა და თან ხელი მოუცაცუნა მხარზე.

იმ დროს, როცა სტადიონზე პირველი ტაიმის შემდეგ არაქათგამოლეული მოთამაშეები ეძებდნენ ექიმ-მასაჟისტს, — ა. დეკანოზიშვილი ავტომანქანით „თბილისის ზღვასთან“ იყო.

რესტორანში შესვლისთანავე ცოცხალი თევზი, ქორფა კიტრები, ჩაციებული ღვინო მოითხოვა. მალე გაისმა მეგობრების „ღუღუნი“:

— ...შენთვის მომინდვია ეს გული...

როცა ალექსანდრემ მორიგი სადღეგრძელო შესვა, გვერდით მჯდომ რეციდივისტს წასჩურჩულა:

— პასპორტი ხომ გაქვს, ოქროს ბიჭო, ახლა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომიც მოგიხდება... გინდა? ჩემი თავი გენაცვალოს!

— ვა, — გაოცდა მანასელიანი-„რაზმაძე“, — ხულიგნობასა და ყალთაბანდობას რა დიპლომი უნდა. ისეც კარგად ვფცქვნი ტაქსის მძღოლებს, ფრიადზე ვიცი სხვის ჯიბეში ხელის ფათური. ალექსანდრე გაუწყრა მეგობარს, შემდეგ ისევ დაუყვავა და უთხრა:

— ცდები, ძმობილო, მეც ადრე ასე ვფიქრობდი... განა მე მინახავს სამედიცინო ინსტიტუტის კედლები? მაგრამ სადაც კი წარვადგინე ექიმ-მასაჟისტის დიპლომი, რომელიც თვითონვე გავამზადე, ყველგან ხელგაშლილი შემხვდნენ. სახელიც არის და სახრავიც!

— ვა, ვა, ვა, ეს რა გამაგონე, კაცო! — მუხლზე ხელის დაკვრით წამოიძახა მეგობარმა.

„ექიმი“ ფეხბურთის მატჩის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა სტადიონზე.

— წავაგეთ თუ მოვიგეთ? — ჰკითხა ერთ-ერთ ფეხბურთელს... შემდეგ თვითონვე დაუმატა, — არაფერია, წაგება და მოგება ძმები არიანო, და სკამისკენ წაბარბაცდა.

კვლავ ახალი სამუშაო დღე დაიწყო... „ექიმ-მასაჟისტს“ ა. დეკანოზიშვილს სულ არ აინტერესებს სპორტსმენების ფიზიკური წრთობა, დილიდან საღამომდე კომბინაციებზე ფიქრობს.

„ექიმი-მასაჟისტი“ მისებრ მოლიპული გზით მოსიარულე „კლიენტებს“ სთავაზობს: საშუალო სკოლის დამთავრების შეუსებელ ატესტატებს. ზოგ მათგანს № 2322 აწერია, ზოგს ქალაქ თბილისის 52-ე საშუალო სკოლის ბეჭედი აზის. „ექიმს“ გამზადებული აქვს სტომატოლოგ-ექიმის დიპლომი № 024948, დასტობით უწყვია შესაკვსები ბლანკები, რომლებსაც აწერია: „ცნობა. ამხ... ნამდვილად ირიცხება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის... ფაკულტეტის... კურსის სტუდენტად. ფაკულტეტის დეკანი“.

გაკვირვებას იწვევს, საიდან, როგორ მოხვდა აფერისტის ხელში ასეთი დოკუმენტები? იქნებ „თბილისის ზღვის“ ჰავამ და ნაცადი თამადის ა. დეკანოზიშვილის მაღალფარდოვანმა სიტყვებმა იმოქმედა ზოგიერთ დოყლაპია მუშაკზე... ერთი კი ცხადია, რომ „ექიმ-მასაჟისტს“ ფართოდ გაუბამს ქსელი „ძმაბიჭებთან“.

ჩვენ გვჯერა, რომ „ექიმ-მასაჟისტს“ საკადრისი „დაზელვა“ არ ასცდება, მაგრამ „დაუზელავნი“ არ უნდა დარჩნენ ისინიც, ვინც მას ხელს უწყობს, ვინც სიფხიზლე მოადუნა.

ა. სხვაველი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რუსთავის № 48 სასადილოში სერიოზულ დარღვევებს აქვს ადგილი. მაღაზიის დირექტორი ქელეხსაევი უხეშად არღვევს სავაჭრო წესებს, წერდნენ რედაქციას რუსთავიდან.

წერილი ზომების მისაღებად საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტს გადაეგზავნა. რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით სასადილოს გამგე ქელეხსაევი მოიხსნა სამუშაოდან და მისი საქმე გადაეცა პროკურატურას.

იუგოსლავი მსახიობები თბილისში



ვითარდება და მტკიცდება კულტურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ხალხებს შორის. ჯერ კიდევ აპრილში ბელგრადის სახალხო თეატრში დიდი წარმატებით გამოვიდა გამოჩენილი საბჭოთა ხაოპერო მომღერალი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. პიროგოვი მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვსა“ და ბოროდინის ოპერა „თავად იგორში“, ხოლო ამას წინათ იუგოსლავიაში დამთავრდა საბჭოთა ხელოვნების ოსტატების: სსრ კავშირის სახალხო არტისტის ე. ჩავდარის, რსფსრ სახალხო არტისტების პ. ლისიციანისა და ი. პეტროვის, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტების გ. ვიშნევსკაიას, რ. სტრუნკოვასა და ა. ლაფაურის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის პიანისტ ე. გილელსის, ფოლონისტ ი. ბეზროდნის, პიანიციკის სახელობის რუსული ხალხური გუნდის მოცეკვავეთა ჯგუფის კონცერტები, რომლებიც იუგოსლავმა მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს.

მეგობარი იუგოსლავი ხალხისადმი, მისი ეროვნული ხელოვნებისადმი პატივისცემისა და სიყვარულის ერთ-ერთი უაღრესად ტიპიური და ნათელი გამოხატულებაა ის, რომ ამას წინათ სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მოიწვია იუგოსლავური ხელოვნების ოსტატთა ჯგუფი ბელგრადის სახალხო თეატრის პრემიერების მიროსლავ ჩანგალოვიჩის (ბანი), ალექსანდრე მარინკოვიჩის (ტენორი), ლიუბლიანის სახალხო ოპერის პრემიერის ვილმა ბუკოვეცის (სოპრანო) და ლიუბლიანის მუსიკალური აკადემიის პროფესორის პიანისტ მარიან ლიპოშუკის შემადგენლობით. დიდი წარმატებით ჩაიარა მათმა კონცერტებმა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში.

ამ დღეებში იუგოსლავი მომღერლები ჩამოვიდნენ თბილისში და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გამართეს დიდი კონცერტი ორ განყოფილებად. მოცარტის, ვერდის, პუჩინის, მასნეს, შუბერტის, სმეტანას, დვორუაკის პოპულარულ ნაწარმოებებთან ერთად შესრულებულ იქნა თბილისელი მაყურებლებისათვის ნაკლებად ცნობილი იუგოსლავი კომპოზიტორების ზაიცის, ხრისტიჩის, გოტოვაცის, სიმონიტის, ადამიჩის და სხვათა ნაწარმოებები.

კონცერტზე განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა ბელგრადის სახალხო თეატრის პრემიერს მ. ჩანგალოვიჩს, რომელსაც ლამაზი ხავერდოვანი ტემბრის ბანი აქვს. მაგრამ ის არა მარტო იშვიათი ხმის პატრონია, არამედ დიდი მხატვარი-მუსიკოსიც, რომლის შემსრულებლობითს შემოქმედებაში ჰარმონიულად არის შერწყმული ნიჭი და ოსტატობა. როდესაც მ. ჩანგალოვიჩს უსმენთ, გიბიბავთ შესრულების უშუალობა, ემოციურობა, ინტონაციის ბუმბერავობა, მუსიკალური შინაარსის ფაქიზი შეგრძნობისა და კომპოზიტორის შთანაფიქრში ღრმად ჩაწვდომის უნარი.

მ. ჩანგალოვიჩი ფართო შემოქმედებითი ბუნების მომღერალია, რომელიც ერთნაირი წარმატებით ასრულებს როგორც ლირიკულ და დრამატულ, ისე საუანრო-იუმორისტულ მუსიკალურ ნაწარმოებებს. მაგრამ განსაკუთრებულ ოსტატობას ის მაინც ლირიკული ხასიათის ნაწარმოებების შესრულებაში იჩენს. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მ. ჩანგალოვიჩის მიერ შუბერტის სიმღერების „ორეულის“ და „მუსიკისადმი“ შთაგონებულად, რომანტიკული ზნეებით შესრულება. ძალიან ფაქიზად გადმოსცა მომღერალმა ფოერეს „რომანსის“ და კუნცის „ზამთრის“ ელეგიური განწყობილება. ასევე დიდი მოწონება დაიმსახურა მ. ჩანგალოვიჩის მიერ შესრულებულმა „ზანგურმა ხალხურმა სიმღერამ“ და „ზანგურმა ხალხურმა ნანამ“.

თბილისელ მაყურებლებზე ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა ლიუბლიანის სახალხო ოპერის პრემიერმა ვ. ბუკოვეცმა, რომელსაც სასიამოვნო და მოქნილი სოპრანო აქვს. მისი რეპერტუარი საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. თბილად, უშუალოდ შეასრულა მან იუგოსლავი კომპოზიტორის სიმონიტის რომანსი „მხოლოდ ერთი ყვავილი“ და ადამიჩის სიმღერა „მთებში ცხოვრება“.

მაღალი ვოკალური კულტურა გამოამჟღავნა ბელგრადის სახალხო თეატრის პრემიერმა ალექსანდრე მარინკოვიჩმა. მსმენელებს მოეწონათ მისი ძლიერი, თავისუფალი ხმა. ამ ნიჭიერმა ტენორმა შესანიშნავად შეასრულა იუგოსლავი კომპოზიტორის ზაიცის ტემპერამენტული სიმღერა „სამშობლო და სიყვარული“ და ხრისტიჩის ლირიკული სიმღერა „ელეგია“.

კონცერტში, როგორც აკომპანიატორმა, მონაწილეობა მიიღო ლიუბლიანის მუსიკალური აკადემიის პროფესორმა, შესანიშნავმა პიანისტმა, თვალსაჩინო კომპოზიტორმა, მუსიკალურმა კრიტიკოსმა და ეურნალ „სლოვენური მუსიკის“ რედაქტორმა მარიან ლიპოვშეკმა. აკომპანემენტს გარდა, მან დიდი ოსტატობით შეასრულა კომპოზიტორ ტაიჩევიჩის „ოთხი ბალკანური სიმღერა“.

იუგოსლავური ხელოვნების ოსტატების კონცერტმა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, რომელსაც საბჭოთა ხაქართველოს დედაქალაქის ფართო მუსიკალური საზოგადოებრიობა ესწრებოდა, დიდი წარმატებით ჩაიარა.

დ. გველესიანი.

• • •

სურათზე: კონცერტის დაწყების წინ იუგოსლავიის მსახიობების სახელით მ. ჩანგალოვიჩი (მარცხნიდან მესამე) ესალმება თბილისის ხელოვნების მოღვაწეებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ერთობლივი განცხადება

უცხოეთის გამოხმაურება ნ. ა. ბულგანინისა და ჯავაჰარლალ ნერუს ერთობლივ განცხადებაზე

ინდოეთი

დელი, 24 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ წერს, რომ დელის პოლიტიკური წრეები მიესალმებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუს ერთობლივ განცხადებას როგორც ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში და სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მქონე ქვეყნებს შორის ურთიერთგაგების განმტკიცებაში.

აქ მიაჩნიათ, წერს გაზეთი, რომ ეს ერთობლივი განცხადება ავსებს ნერუ-ჯოუ-ენლაის განცხადებას, რომელშიც პირველად იყო აღნიშნული ხუთი პრინციპი. დიდი მნიშვნელობა აქვს მესამე პრინციპს — ჩაურევლობის პრინციპის ახალ განმარტებას, რომელსაც წინათ განმარტავდნენ როგორც „ერომანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას“, ახლა კი როგორც „ეკონომიური, პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ხასიათის რაიმე მოქმედებით ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას“.

მიესალმა რა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივ განცხადებას, ინდოეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა პანტმა აღნიშნა, რომ ეს განცხადება შეესაბამება ინდოეთის საშვიდობო პოლიტიკას.

ინდოეთის ეროვნული კონგრესის გენერალურმა მდივანმა შრიმან ნარაიან აგარვალმა განცხადება დაახასიათა როგორც ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც დიდ როლს შეასრულებს მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში. მან განაცხადა: „თუმცა მთელ რიგ ძირითად პრინციპებში ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური და სოციალური იდეოლოგიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ ამასთანავე არის ურთიერთ თანამშრომლობის ვრცელი დარგი. ჩვენ დიდი ინტერესით მოველით მარშალ ბულგანინის ვიზიტს ინდოეთში“.

ინდოეთის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე რაჯაგოპალაჩარია მიესალმა ერთობლივ განცხადებას და თქვა: „მოხარული ვარ, რომ, გარდა იმისა, რომ ნათელი გამოთქმებით დაადასტურეს იმ საბელმწიფოთა თანაარსებობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის პრინციპები, რომლებიც თავიანთ საშინაო საქმეებში ახორციელებენ სხვადასხვა იდეოლოგიასა და პოლიტიკას, პრემიერ-მინისტრებმა განაცხადეს, რომ არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი ატომგულისა და თერმოატომგულის იარაღის წარმოებას, გამოცდისა და ხმარების სრული აკრძალვის განხორციელებას და რომ უნდა დაწესდეს ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი ამ აკრძალვისადმი“.

შემდეგ რაჯაგოპალაჩარიმ განაცხადა, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციის მონაწილეებს ახლა შეუერთდა საბჭოთა კავშირი. ახლა, ხაზგასმით აღნიშნა მან, შვიდობის მოწინააღმდეგენი მოქცეული არიან ჩიხში.

გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი“ მოწინავე სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს:

„ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივი განცხადება მშვიდობის საქმის ახალ მხარდაჭერას მოასწავებს“. გაზეთს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტად მიაჩნია, რომ განცხადება გამოქვეყნებული და დიდ სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურთა ენერგის შეხვედრის წინ. „განცხადება, — წერს გაზეთი, — საკმაოდ ნათლად აღნიშნავს, რომ მშვიდობის მიღწევა შეიძლება ხუთი პრინციპის საფუძველზე“.

შემდეგ გაზეთი იწონებს ერთობლივი განცხადების დებულებებს, რომ საჭიროა მოწესრიგდეს ტაივანისა და ინდოჩინეთის საკითხები.

გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ მოწინავე სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნ. ა. ბულგანინის სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა „დინამოს“ სტადიონზე გამართულ მიტინგზე.

გაზეთი დაწვრილებით ანალიზს უკეთებს ერთობლივი განცხადების შინაარსს და გამოპყოფს იმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომ სასურველია საყოველთაო განიარაღება. გაზეთი იწონებს ერთობლივი განცხადების დებულებებს, რომლებიც ეხება ტაივანის მიმართ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებებს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ინდოჩინეთის დგომარეობას, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობას ეკონომიურ, მეცნიერულ და ტექნიკურ დარგებში.

დასასრულ გაზეთი წერს: „განცხადება, რომელიც ეხება მრავალ საკითხს, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს, და საერთაშორისო ხასიათის უფრო ფართო პრობლემებს, საბჭოთა კავშირში ნერუს ვიზიტის პირველი ნაყოფია, რომელსაც დიდი შედეგები მოჰყვება“.

გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ მოწინავე სტატიაში აღნიშნავს, რომ ნ. ა. ბულგანინმა მაღალი შეფასება მისცა ინდოეთის როლს კორეასა და ინდოჩინეთში სამხედრო კონფლიქტების მოწესრიგებაში.

გაზეთი ყურადღებას აქცევს ერთობლივ განცხადებაში აღძრულ იმ საერთაშორისო პრობლემებს, რომლებიც, როგორც იგი წერს, დაუყოვნებელ უნდა მოაწესრიგონ დიდმა საბელმწიფოებმა, კერძოდ ტაივანის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის კანონიერი ადგილის აღიარების პრობლემებს, ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა განხორციელებას. „ჰინდუსტან ტაიმსი“ განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმას, რომ „განიარაღება“, რომლითაც უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე ატომგულის იარაღის წარმოებისა და ხმარების სრული აკრძალვა, რა თქმა უნდა, აღიარებულია ყველაზე გადაუდებელ პრობლემად“.

პოლონეთი

ვარშავა, 24 ივნისი. (საკდესი). ღღეს პოლონეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ერთობლივი განცხადება. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ორი მთავრობის მეთაურთა განცხადება გამსჭვალულია ზრუნვით მშვიდობისა და მეგობრული თანამშრომლობისათვის.

გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“ წერს:

პოლონეთის საზოგადოებრიობა უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს პრემიერ-მინისტრ ჯ. ნერუს საბჭოთა კავშირში ყოფნას. ჩვენი მოლოდინი გამართლდა, და ამას ადასტურებს პრემიერ-მინისტრების ნ. ა. ბულგანინისა და ჯ. ნერუს ერთობლივი განცხადება. ჩვენ სიხარულით ვიღებთ ცნობას, რომ კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის თანამშრომლობა, რომ მათი ერთიერთობა ემყარება მშვიდობიანი თანაარსებობის ცნობილ ხუთ პრინციპს.

გაზეთი გამოპყოფს განცხადების იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ ამ პრინციპების ფართოდ აღიარება გაადიდებს მშვიდობის ზონას, ხელს შეუწყობს ხალხთა ურთიერთნდობის დამყარებას და გზას გაუკაფავს უფრო მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობას.

დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, წერს „ტრიბუნა ლიუდუ“, სსრ კავშირისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრებს განცხადებით გამოთქმულ ერთობლივ პოზიციას ისეთ არსებითს საკითხებში, როგორიც არის პრობლემა ტაივანისა, რომელიც უნდა შეუერთდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მშვიდობიანი გზით, როგორიც არის სახალხო ჩინეთისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი კუთვნილი ადგილის დაბრუნების საკითხი. საკითხი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კანონიერი ადგილის მიცემის შესახებ კონსტრუქციულად უნდა განიხილონ სან-ფრანცისკოს საიუბილეო სესიის მონაწილეებმა.

მშვიდობისმოყვარე ადამიანები სიხარულით მიესალმებიან ორი მთავრობის მეთაურთა განცხადებას, რომ არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი ატომგულისა და თერმოატომგულის იარაღის წარმოების, გამოცდისა და ხმარების სრულ აკრძალვას.

ერთობლივი მისწრაფება, რაც გამოთქმულია ორი პრემიერის განცხადებაში, აღნიშნავს „ტრიბუნა ლიუდუ“, დიდმნიშვნელოვანი წვლილია მშვიდობის განმტკიცების საქმეში, და იგი უეჭველია გაელენას მოახდენს საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომ განვითარებაზე. პოლონელი ხალხი ღრმად დარწმუნებულია, რომ 400-მილიონიანი ინდოეთის სახელმწიფოს პრემიერის ყოფნა ჩვენს ქვეყანაში, მისი შეხვედრა ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან ხელს შეუწყობს ინდოეთისა და პოლონეთის დაახლოებას. ეს ახალი ნაბიჯი იქნება საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების გზაზე.

ბულგარეთი

სოფია, 24 ივნისი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ერთობლივ განცხადებას, გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ მოწინავე სტატიაში სათაურით „დიდი წვლილი მშვიდობის განმტკიცებაში“. წერს:

ეს განცხადება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი წარმოადგენს მტკიცე საფუძველს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის, იგი მშვიდობისათვის დიდი ზრუნვით გამსჭვალული დოკუმენტია. ერთობლივი განცხადება, რომელსაც ხელს აწერენ ორი დიდი საბელმწიფოს მთავრობათა ხელმძღვანელები, გამოხატავს საბჭოთა ხალხების მისწრაფებას — განაგრძონ მეგობარი ბრძოლა საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისა და საბელმწიფოთა შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნისათვის.

ჩვენი ხალხი, წერს „რაბოტნიჩესკო დელო“, სულით და გულით მიესალმება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ერთობლივ განცხადებას. ჩვენს ხალხს ეს განცხადება მიაჩნია იმის ახალ გამოვლინებად, რომ საბჭოთა მთავრობა განუზრელად ესწრაფვის დაუცხრომლად და აქტიურად შეუწყოს ხელი ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან მეგობრობისა და ფართო თანამშრომლობის დამყარებას.

გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“ მოწინავე სტატიაში სათაურით „მშვიდობისმოყვარე ძალების ახალი გამარჯვება“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა მკაფიოდ და დამაჯერებლად ადასტურებს ლენინის მოძღვრების დიდ სასიცოცხლო ძალას, რომ შესაძლებელია სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 24 ივნისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს საბჭოთა კავშირში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ოფიციალურ ვიზიტს და სსრ კავშირისა და ინდოეთის მთავრობათა მეთაურების ერთობლივ განცხადებას. ღღეს „რუდე პრავომ“, „პრაცემ“, „ზემედელსკე ნოვინინმ“, „ლიდოვა დემოკრაციემ“ და სხვა გაზეთებმა გამოაქვეყნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ერთობლივი განცხადების ტექსტი.

გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ოფიციალური ვიზიტის უდიდეს მნიშვნელობას და ინდოეთის ამ გამორჩენილი სახელმწიფო მოღვაწის დიდ როლს ხალხთა მშვიდობისათვის, მეგობრობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლაში.

კაცობრიობა, წერს „რუდე პრავო“, როგორც მშვიდობის განმტკიცების ხელის შემწყობ დიდმნიშვნელოვან აქტს მიესალმება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის ამ გამორჩენილი სახელმწიფო მოღვაწის დიდ როლს ხალხთა მშვიდობისათვის, მეგობრობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლაში.

„ალიბორიობა, წერს „რუდე პრავო“, როგორც მშვიდობის განმტკიცების ხელის შემწყობ დიდმნიშვნელოვან აქტს მიესალმება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუს ერთობლივ განცხადებას. ეს განცხადება, რომელიც გამოხატავს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მთავრობათა მტკიცე გადწყვეტილებას — განაგრძონ მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, ხაზგასმით აღნიშნავს ორივე მხარის შეხედულებათა ერთობას მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე.

რუმინეთი

ბუქარესტი, 24 ივნისი. (საკდესი). როგორც რუმინეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რუმინეთის გაზეთები ფართო კომენტარს უკეთებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ერთობლივ განცხადებას.

მოწინავე სტატიაში სათაურით „სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრობის უდიდესი მნიშვნელობა“ გაზეთი „სკინტეია“ წერს:

ერთობლივ განცხადებას — უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტს — დიდი კმაყოფილებით შეხვდა მსოფლიოს ყველა ხალხი. ეს ერთობლივი განცხადება გამოხატავს იმას, რომ ორი დიდი სახელმწიფო, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ საერთაშორისო ცხოვრებაში, მშვიდობას ესწრაფვის.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა, წერს გაზეთი „რომინეა ლიბერა“, 600 მილიონი ადამიანის მეგობრობა, რომელნიც ცხოვრობენ სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური წყობილების მქონე სახელმწიფოებში, იმას მოწმობს, რომ შესაძლებელია სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა. ემყარება რა ერთობლივი განცხადების ხუთი პრინციპის მტკიცე და სიმყარე საფუძველს, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა ძვირფასი წვლილია ხალხთა მშვიდობის, უშიშროებისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„ძალის პოზიციის“ ამერიკული პოლიტიკის წარუმატებლობა

ატომური ბომბებით გადაბუგული ჰიროსიმისა და ნაგასაკის მიდამოები ჯერ კიდევ ფერფლით იყო დაფარული, როცა ამერიკელ განგსტერები იქ ჩასულ უცხოელ ჟურნალისტებს მეფიფურად აცნობდნენ ახალი იარაღის აფეთქების შედეგებს და ცდილობდნენ როგორც კი შეეძლოთ გაეზვიადებინათ ეს შედეგები.

ასე დაიწყო ეგრეთწოდებული „ატომური დიპლომატია“ — „ძალის პოზიციის“ ამერიკული პოლიტიკის ძირითად ფაქტორად ატომური იარაღის გამოყენება.

ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ატომური ბომბებით იაპონიის ორი ქალაქის დანგრევა სამხედრო აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ტრუმენმა 1945 წლის აგვისტოში ასეთი ბრძანება იმიტომ გასცა, რომ მოულოდნელი აფეთქებით დაეშინებინა სუსტი ნერვების მქონე ადამიანები.

მაშინ ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკუთვნოდათ ატომური იარაღის მონოპოლია. ამერიკელი სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა კავშირს 15-20 წლის განმავლობაში არ ექნებოდა ეს იარაღი. ისინი ცდილობდნენ შიშის ზარი დაეცათ მშვიდობისმოყვარე ხალხებისათვის და გზა გაეკაფათ მსოფლიო ბატონობისაკენ. მაგრამ ეს გეგმები იმითავითვე განწირული იყო ჩასაფუშავად.

თუ როგორ ვითარდებოდა ატომის პრობლემა და რა წარუმატებლობა განიცადა „ძალის პოზიციის“ ამერიკულმა პოლიტიკამ, ამაზე მოგვითხრობს ა. ალექსეევის ბროშურა „ატომის პრობლემა და „ძალის პოზიციის“ ამერიკული პოლიტიკა“. [1])

ბროშურა გვაცნობს, თუ რა დიდი აღფოთება გამოიწვია პირველი ატომური ბომბების აფეთქებამ მსოფლიოს ყველა კუთხეში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საბჭოთა კავშირისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების მოთხოვნით 1946 წლის ივნისში შექმნა ატომის კომისია, რომელსაც დაევალა შეეშუშავებინა რეკომენდაციები ატომის ენერგიისადმი კონტროლის დაწესების შესახებ. მაგრამ საბჭოთა კავშირის ენერგიულ ღონისძიებათა მიუხედავად, ეს კომისია უძლური აღმოჩნდა არსებითი ნაბიჯი გადაედგა ატომური იარაღის ასაკრძალავად, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ისეთი მდგომარეობა, როცა შესაძლებლობა ექნებოდათ თავიანთი ნება-სურვილი ეკარნახათ სხვა ხალხებისათვის.

ამერიკელმა ბანკირმა ბერნარდ ბარუხმა, რომელიც ატომის კომისიაში მონაწილეობდა, შეიმუშავა და 1946 წლის 14 ივნისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომის კომისიაში განსახილველად შეიტანა წინადადებანი, რომელიც ცნობილია „ბარუხის გეგმის“ სახელწოდებით.

ბროშურაში განხილულია „ბარუხის გეგმა“, რომელიც მხოლოდ ამერიკელი მონოპოლისტების ინტერესების დასაცავად იყო მოფიქრებული. იგი მოითხოვდა შეექმნათ „საერთაშორისო“ საკონტროლო ორგანო განუ

უცხოეთის პრესის გამოხმაურება ვ. მ. მოლოტოვის განცხადების გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე

ინგლისი

ლონდონი, 23 ივნისი. (საკდესი). ლონდონის ყველა გაზეთი დიდ ყურადღებას აქცევს ვ. მ. მოლოტოვის განცხადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე.

დაწერილებით ცნობებს ამ თემაზე ბეჭდავენ თვალსაჩინო ადგილას დიდი სათაურებით, რომლებშიც, როგორც წესი, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საბჭოთა კავშირმა წამოაყენა მშვიდობის უზრუნველყოფის გეგმა.

გაზეთ „დეილი მეილის“ სან-ფრანცისკოელი კორესპონდენტი გამოყოფს ვ. მ. მოლოტოვის განცხადების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ მან შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა სავსებით მიიღო დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადება ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ და შეთანხმების გზას დაადგა ატომური იარაღის საკითხში, „ახლა ჯერი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებზეა“. გაზეთი „ნიუს ქრონიკლი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვ. მ. მოლოტოვის წინადადება მსოფლიო ეკონომიური კონფერენციის მოწვევის შესახებ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. გაზეთი აღნიშნავს, რომ „მოლოტოვის აზრით, კომუნისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის მოწესრიგება შესაძლო და სასურველია“.

გაზეთი „დეილი ჰერალდი“ სარედაქციო სტატიაში წერს: „მოლოტოვმა სან-ფრანცისკოში იმის დამაიმედებელი პროგნოზი მოგვცა, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავალ თვეში დიდი ოთხეულის ქვეყნის თათბირზე. რუსები აცხადებენ, რომ მზად არიან ანგარიში გაგიწიონ, და მათი ამასწინანდელი ახალი წინადადება შეიარაღების შემცირების საკითხებზე კონკრეტული მაგალითია... ჩვენმა მთავრობამ საუკეთესოდ უნდა გამოიყენოს ის, რაც, ჩვენ ეფიქრობთ, მშვიდობის მოწყვეს ყველაზე უკეთესი შესაძლებლობაა ამ უკანასკნელ 10 წელიწადში“.

ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კორპორაციის კორესპონდენტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იუწყება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე ვ. მ. მოლოტოვს უფრო მეტხარად დაუკრეს ტაში, ამასთან არა მარტო „კომუნისტური ქვეყნების“ დელეგატებმა, ვიდრე რომელიმე სხვა ორატორს, რომელიც დღემდე გამოვიდა სესიაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის განცხადება არ ეჭაშნიკათ იმ წრეებს, რომლებიც უარყოფენ პოლიტიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაშრომლობისა და ნდობის პრინციპები, და ქადაგებენ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას. გამოხატავს რა ამ წრეების აზრს, გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ ცდილობს ვ. მ. მოლოტოვის განცხადება დასახოს როგორც „პროპაგანდისტული“. გაზეთის განსაკუთრებით ის აბრაზებს, რომ ვ. მ. მოლოტოვმა გამოაშკარავა საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის ნამდვილი მიზეზები, სახელდობრ: გამალებული შეიარაღება, უცხოეთის სამხედრო ბაზების არსებობა სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, ახალი სამხედრო ბლოკების შექმნა, ატომური ომის საშიში პროპაგანდა. „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“, აგრეთვე „ნიუს ქრონიკელი“, ყოველგვარი ლოგიკის წინააღმდეგ, ჩქარობენ გამოაცხადონ, რომ ვ. მ. მოლოტოვის წინადადებანი თითქოს არ შეუწყობენ ხელს ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ქვეყნის თათბირის წარმატებას.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 23 ივნისი. (საკდესი). ვ. მ. მოლოტოვის განცხადებამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის საზოგადოებრიობაზე. როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ სანფრანცისკოელი კორესპონდენტი დონოვენი აღიარებს, „მსმენელთ მოეწონათ მის (ვ. მ. მოლოტოვის) მიერ გამოთქმული შერიგებითი და მეგობრული აზრები, როგორც, მაგალითად, ოპტიმისტური შენიშვნები დიდი ოთხეულის მომავალი თათბირის გამო, მისი გულთბილი ქება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართ და მისი გულითადი მისალმება ამერიკელი ხალხისადმი. მისი სიტყვის დროს ხუთჯერ დაუკრეს ტაში... პირველად მოლოტოვს მას შემდეგ დაუკრეს ტაში, როცა მან თქვა, რომ განიარაღების მხრივ შემდეგი ნაბიჯი დასავლეთმა უნდა გადადგას... მეორედ — და ეს ზოგიერთისათვის მოულოდნელი იყო — მოლოტოვმა ტაში გამოიწვია, როცა მტკიცედ მოითხოვა, რომ ჩინეთმა მონაწილეობა მიიღოს ატომური იარაღის აკრძალვის საკითხის განხილვაში, რასაც საბჭოები მოითხოვენ“.

ამერიკის პრესა“ ვერ უარყოფს ვ. მ. მოლოტოვის განცხადების და იმ წინადადებათა დიდ მნიშვნელობას, რომლებსაც ეს განცხადება შეიცავს. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, მოლოტოვის განცხადებას „ადასტურებენ საბჭოთა ამასწინანდელი სამშვიდობო ნაბიჯები და დათმობანი, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს დიდ სახელმწიფოთა თათბირი უმაღლეს დონეზე“. ამ განცხადებას, წერს გაზეთი, „უნდა მივესალმოთ“. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ სარედაქციო სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა დელეგაციის მეთაურის განცხადებას „ინტერესით მოელოდნენ“ და რომ „იგი ახლა სიტყვა სიტყვით უნდა იქნეს შესწავლილი“. გაზეთი არსებითად აღიარებს, რომ საბჭოთა წინადადებანი შეესაბამებიან ხალხთა მისწრაფებას მშვიდობისადმი, აცხადებს რა, რომ ეს მისწრაფება „სასაგებლოა სწორედ საბჭოთა პოლიტიკისათვის“.

ამასთანავე ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულ წრეებში იმ წინადადებებმა, რომლებსაც ვ. მ. მოლოტოვის განცხადება შეიცავს და რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის აღმოფხვრა, გაბრაზება, გამორეტება და დაბნეულობა გამოიწვიეს და ეს პრესაშიც აისახა. ზოგიერთი მიმომხილველი და კორესპონდენტი მზად არის სახელი გაუტეხოს საბჭოთა დელეგაციის მეთაურის განცხადების თვითეულ სიტყვას. მაგალითად „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტს კერს არ მოსწონს, რომ საბჭოთა კავშირი „ცდილობს მეგობრები მოიპოვოს მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში“. იმავე გაზეთის კორესპონდენტი ლოურენსი, რომელსაც დაუკარგავს ყოველგვარი თავშეკავება, ლანძღვა-გინებით იხსენებს საბჭოთა წინადადებებს.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეების გაბრაზება და გამორეტება, რომლებსაც არა სურთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, იმით არის გამოწვეული, რომ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გააკეთა დაძაბულობის გამოიწვევი მიზეზების ზუსტი ანალიზი და ჩამოაყალიბა გეგმა, რომელსაც, საბჭოთა დელეგაციის აზრით, შეუძლია აღადგინოს ნდობა ქვეყნებს შორის და განმტკიცოს მშვიდობა. მართალია, ეს წრეები ვერ ბედავენ აშკარად გამოვიდნენ თანაარსებობისა და მშვიდობიანი თანაშრომლობის პრინციპების წინააღმდეგ, მაგრამ მათი სურვილია დასჯერდნენ ამ პრინციპების სტყვიერ აღიარებას და ამასობაში განაგრძონ თავიანთი პოლიტიკა, რომელიც საერთაშორისო დაძაბულობას იწვევს. მაგალითად, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში რჩევას იძლევა მიიღონ ეგრეთწოდებული „სან-ფრანცისკოს დეკლარაცია“, რომელიც წარადგინა ფილიპინების დელეგატმა რომულომ. ამ სტატიიდან ჩანს, რომ შეერთებული შტატები თანახმა არიან მხოლოდ ისეთ „მშვიდობაზე“, რომელსაც საფუძვლად უდევს „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა. გაზეთი ხელოვნურად უარყოფს ყველა წინადადებას, რომლებსაც ვ. მ. მოლოტოვის განცხადება შეიცავს.

საფრანგეთი

პარიზი, 24 ივნისი. (საკდესი). პარიზის გაზეთებმა დაწვრილებითი ცნობები გამოაქვეყნეს ვ. მ. მოლოტოვის განცხადების გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე სან-ფრანცისკოში.

გამოაყოფს რა წინადადებებს, რომლებსაც შეიცავს ვ. მ. მოლოტოვის განცხადება, გაზეთი „კომბა“ წერს: „როგორც ვრცელი და ზუსტი, ეს სიტყვა“ დამკვრელი „პასუხი იყო იმ უფერულ და ბუნდოვან სიტყვებზე, რომელიც ორი დღის წინათ წარმოთქვა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა“.

გაზეთი აღნიშნავს: ვ. მ. მოლოტოვის განცხადება, რომ საჭიროა აღდგენილ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, შეესაბამება „იმ ორგანიზაციის მეტი წილი წევრების“ ინტერესებს. უპირისპირდეს რა ვ. მ. მოლოტოვის სიტყვის კონკრეტულ წინადადებებს „ყოველად უმნიშვნელო და გრძელ სიტყვებს, რომლებიც მანამდე სან-ფრანცისკოს ტრიბუნიდან წარმოითქვა“, „კომბა“ დასასრულ წერს, „მოლოტოვის წინადადებანი იმის ღირსია, რომ ისინი კეთილმოსურნეობით მიიღონონ“.

გაზეთი „ფრან-ტირერი“ აგრეთვე დანაწილებულ აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე დასავლეთის დელეგატების სიტყვები „მეტად ზოგადი ხასიათისა იყო“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვ. მ. მოლოტოვის განცხადება „კონკრეტულ საფუძველს შეიცავს მოლაპარაკებისათვის“.

გაზეთი „ეკო“ ასეთ რეზიუმს უკეთებს ვ. მ. მოლოტოვის განცხადებას:

„არ არის მოჩვენებითი წინადადებანი, არის შესაძლებლობა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიღონ დასავლეთის რამდენიმე ქვეყანა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. კონსტატაცია ფაქტისა: „პასუხისმგებლობა მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროებისათვის უწინარეს ყოვლისა ეკისრებათ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს“.

გაზეთი „ლიბერასიონი“ აცხადებს, რომ იმ გეგმაში, რომელიც წარმოდგენილია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებაში „შეუძლებელი არაფერია“, თუ მის განხორციელებას შეუდგებიან კეთილი ნებითა და ურთიერთნდობით აღჭურვილნი.

ჟენევის თათბირის წინ, წერს გაზეთი, ერთ-ერთმა პარტნიორმა თავისი პროგრამა წარმოადგინა. ვისურვოთ, რომ მეორე პარტნიორმა არ დაუტოვოს მას საჭირო შეთანხმების ძიების მონაშილია, შეთანხმებისა, რომელიც შეიძლება მხოლოდ ყველა მონაწილემ იპოვოს. „ძალის პოზიციიდან“ მოლაპარაკების წარმოება, ცალმხრივი დათმობის მოთხოვნა იმას ნიშნავს, რომ ილუზიები იქონიონ და დაადგნენ ამ მოლაპარაკების ჩაშლის გზას.

გერმანია

ბერლინი, 24 ივნისი. (საკდესი). ვ. მ. მოლოტოვის განცხადებამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე სან-ფრანცისკოში დიდ ყურადღებას აქცევს ბერლინის მთელი დღევანდელი პრესა. ამ თემაზე გაზეთები დაწვრილებით ცნობებს. პირველ გვერდზე ბეჭდავენ დიდი სათაურებით: „მოლოტოვის დიდნიშვნელოვანი სიტყვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების პროგრამა“ („ნაციონალ-ცაიტუნგი“), „მოლოტოვმა კვლავ მოითხოვა ჯარების გაყვანა გერმანიიდან“ („ბერლინერ ცაიტუნგი“) და სხვ.

„ნოიეს დოიჩლანდი“ ბეჭდავს ვ. მ. მოლოტოვის განცხადების სრულ ტექსტს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ნოიე ცაიტი“, მოიწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალ სახელმწიფოებს სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ.

დასავლეთ ბერლინის ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდა ცნობები სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის განცხადების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სან-ფრანცისკოს საიუბილეო სესიაზე. გაზეთები დაწვრილებით ციტირებენ განცხადებაში მოყვანილ იმ წინადადებათა შინაარსს, რომლებიც ეხება საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას.

საფრანგეთი

პარიზი, 24 ივნისი. (საკდესი). პარიზის გაზეთებმა დაწვრილებითი ცნობები გამოაქვეყნეს ვ. მ. მოლოტოვის განცხადების გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე სან-ფრანცისკოში.

გამოაყოფს რა წინადადებებს, რომლებსაც შეიცავს ვ. მ. მოლოტოვის განცხადება, გაზეთი „კომბა“ წერს: „როგორც ვრცელი და ზუსტი, ეს სიტყვა“ დამკვრელი „პასუხი იყო იმ უფერულ და ბუნდოვან სიტყვებზე, რომელიც ორი დღის წინათ წარმოთქვა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა“.

გაზეთი აღნიშნავს: ვ. მ. მოლოტოვის განცხადება, რომ საჭიროა აღდგენილ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, შეესაბამება „იმ ორგანიზაციის მეტი წილი წევრების“ ინტერესებს. უპირისპირდეს რა ვ. მ. მოლოტოვის სიტყვის კონკრეტულ წინადადებებს „ყოველად უმნიშვნელო და გრძელ სიტყვებს, რომლებიც მანამდე სან-ფრანცისკოს ტრიბუნიდან წარმოითქვა“, „კომბა“ დასასრულ წერს, „მოლოტოვის წინადადებანი იმის ღირსია, რომ ისინი კეთილმოსურნეობით მიიღონონ“.

გაზეთი „ფრან-ტირერი“ აგრეთვე დანაწილებულ აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე დასავლეთის დელეგატების სიტყვები „მეტად ზოგადი ხასიათისა იყო“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვ. მ. მოლოტოვის განცხადება „კონკრეტულ საფუძველს შეიცავს მოლაპარაკებისათვის“.

გაზეთი „ეკო“ ასეთ რეზიუმს უკეთებს ვ. მ. მოლოტოვის განცხადებას:

„არ არის მოჩვენებითი წინადადებანი, არის შესაძლებლობა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიღონ დასავლეთის რამდენიმე ქვეყანა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. კონსტატაცია ფაქტისა: „პასუხისმგებლობა მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროებისათვის უწინარეს ყოვლისა ეკისრებათ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს“.

გაზეთი „ლიბერასიონი“ აცხადებს, რომ იმ გეგმაში, რომელიც წარმოდგენილია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებაში „შეუძლებელი არაფერია“, თუ მის განხორციელებას შეუდგებიან კეთილი ნებითა და ურთიერთნდობით აღჭურვილნი.

ჟენევის თათბირის წინ, წერს გაზეთი, ერთ-ერთმა პარტნიორმა თავისი პროგრამა წარმოადგინა. ვისურვოთ, რომ მეორე პარტნიორმა არ დაუტოვოს მას საჭირო შეთანხმების ძიების მონაშილია, შეთანხმებისა, რომელიც შეიძლება მხოლოდ ყველა მონაწილემ იპოვოს. „ძალის პოზიციიდან“ მოლაპარაკების წარმოება, ცალმხრივი დათმობის მოთხოვნა იმას ნიშნავს, რომ ილუზიები იქონიონ და დაადგნენ ამ მოლაპარაკების ჩაშლის გზას.

გერმანია

ბერლინი, 24 ივნისი. (საკდესი). ვ. მ. მოლოტოვის განცხადებამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე სან-ფრანცისკოში დიდ ყურადღებას აქცევს ბერლინის მთელი დღევანდელი პრესა. ამ თემაზე გაზეთები დაწვრილებით ცნობებს. პირველ გვერდზე ბეჭდავენ დიდი სათაურებით: „მოლოტოვის დიდნიშვნელოვანი სიტყვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების პროგრამა“ („ნაციონალ-ცაიტუნგი“), „მოლოტოვმა კვლავ მოითხოვა ჯარების გაყვანა გერმანიიდან“ („ბერლინერ ცაიტუნგი“) და სხვ.

„ნოიეს დოიჩლანდი“ ბეჭდავს ვ. მ. მოლოტოვის განცხადების სრულ ტექსტს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ნოიე ცაიტი“, მოიწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალ სახელმწიფოებს სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ.

დასავლეთ ბერლინის ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდა ცნობები სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის განცხადების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სან-ფრანცისკოს საიუბილეო სესიაზე. გაზეთები დაწვრილებით ციტირებენ განცხადებაში მოყვანილ იმ წინადადებათა შინაარსს, რომლებიც ეხება საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე სან-ფრანცისკოში

სან-ფრანცისკო, 24 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). 23 ივნისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესია მუშაობას განაგრძობდა.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ მექსიკის, საფრანგეთის, სამხრეთ აფრიკის კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, არგენტინის, ლიბანისა და ჰონდურასის დელეგაციათა მეთაურები.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. სკშეშევსკიმ, აღნიშნა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობის ზოგიერთი დადებითი მომენტი, დელეგატების ყურადღება მიაპყრო იმ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჰქონდა ორგანიზაციის მუშაობას განვლილი ათი წლის მანძილზე. ეს ნაკლოვანებანი, თქვა მან, იმის შედეგი იყო, რომ ზოგიერთი დიდი სახელმწიფო ასცდა საერთაშორისო თანაშრომლობისა და შეთანხმებული მოქმედების გზას, რომელსაც ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და ცდილობდნენ გადაექციათ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია წესდების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებათა თავს მოსახვევ ინსტრუმენტად და აფერხებდნენ ბევრი საერთაშორისო პრობლემის გადაჭრას.

ს. სკშეშევსკიმ უყურადღება მიაპყრო იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას ასუსტებს ის, რომ დღემდე აფერხებენ დიდი ჩინელი ხალხის კანონიერ უფლებათა განხორციელებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, აბობს სკშეშევსკი, დღემდე ვერ შეძლო გადაეწყვიტა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების საკითხი. ორგანიზაციის ყველა წევრი უნდა ესწრაფოდეს საერთაშორისო საკითხებზე შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღწევას.

პოლონეთის წარმომადგენელმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის უკანასკნელ წინადადებებს განიარაღების საკითხზე, რომლებიც ქმნიან ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის ახალ შესაძლებლობებს.

მშვიდობის იდეას, თქვა ს. სკშეშევსკიმ, სულ უფრო უფერს მხარს ყველა ხალხი. მაგრამ, რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მშვიდობის მტრებმა შეწყვიტეს ცდები ხელი შეუშალონ ხალხთა შორის მშვიდობის დამყარებას. კერძოდ, ისინი ცდილობენ გამოიყენონ დასავლეთ გერმანიის რევანშისტული ძალები ევროპაში ომის კერის შესაქმნელად. ეი ამიტომ მშვიდობის საქმეში დიდი წვლილია ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ვარშავის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა გადაწყვეტილება მეგობრობის, თანაშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების შესახებ. ეს ხელშეკრულება, ხაზგასმით აღნიშნა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, თავდაცვითი ხელშეკრულებაა და დადებულია მხოლოდ და მხოლოდ ევროპის მშვიდობის ინტერესებისათვის, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სრული შესაბამისობით. ეს ხელშეკრულება ღიაა ევროპის ყველა სახელმწიფოსათვის, რაც ხაზგასმით აღნიშნავს ჩვენს რწმენას, რომ შესაძლებელია სხვადასხვა საზოგადოებრივ-სოციალური სისტემების მქონე სახელმწიფოთა თანაარსებობა და თანაშრომლობა.

თავისი სიტყვის დასასრულს ს. სკშეშევსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა, კვლავაც იქნება მთელ მსოფლიოში მშვიდობის მხურვალე მოიხრე იმ მტკიცე რწმენით, რომ მშვიდობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას ყველა სახელმწიფოს შორის ფართო თანამშრომლობით, განურჩევლად მათი პოლიტიკური და სოციალური სისტემებისა.

მექსიკის წარმომადგენელმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ნერვომ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა ქვეყნის მონაწილეობა საიუბილეო სესიაში წარმოადგენს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების საქვეყნოდ დადასტურებას მათ მიერ და აღიქმას, რომ ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობა განისაზღვრება გაერთიანებული ერებს ორგანიზაციის იდეალებით. ნერვომ მოუწოდა პატარა ქვეყნებს ითანამშრომლონ ერთმანეთთან და დიდ სახელმწიფოებთან „კოლექტიური უმოშრობის საკითხებში“ და ბუსტად დიცეან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები საერთაშორისო ურთიერთობაში.

მექსიკის დელეგატი მიესალმა ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა კონფერენციის მოწვევას. „ყველა პრობლემის გადაჭრა, — თქვა მან, — და პირველ რიგში მტკიცე მშვიდობის დამყარება, მოითხოვს, რომ გადაიჭრას ძირითადი საკითხი. დიდ სახელმწიფოთა შორის შეთანხმების მიღწევა... ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა მომავალი კონფერენცია მრავლისმომცველი მოვლენაა. შესაძლოა, დადგა შეთანხმების ჟამი, რომელსაც ხალხები მოელიან“.

საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა პიერ მენემ განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ „უწინარეს ყოვლისა მთელი თავისი ღონისძიებანი უნდა მოახმაროს განიარაღების და ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების პრობლემათა გადაჭრას“. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ „უკანასკნელი თვეების განმავლობაში მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა განიარაღების დარგში“ და, რომ მხარეები „შეუპოვრად ეძებენ ახალ ფორმულებს, რომლებიც შეიძლება მისაღები იქნეს ყველა ქვეყნისათვის“. ამასთან ერთად პიერ მენემ დაიცვა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი და ამტკიცებდა, თითქოს მისი საქმიანობა „არ აძლიერებდეს საერთაშორისო დაძაბულობას“.

23 ივნისის დღის სხდომაზე გამოვიდნენ ტაილანდის, თურქეთის, ჰოლანდიის, დომინიკოს რესპუბლიკის, ნორვეგიის, ნიკარაგუას, ბელორუსიის სსრ წარმომადგენლები და გომინდანელი.

ბელორუსიის სსრ დელეგაციის წევრმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. ვ. კისელიოვმა, დაახასიათა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობა უკანასკნელ ათ წელიწადში, აღნიშნა, რომ სახელმწიფოთა შორის დამყარებული ურთიერთურნდობლობისა და ეკვიანობის ატმოსფეროს შედეგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ირღვევა სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, რომელსაც წესდება შეიცავს.

მშვიდობის მსოფლიო ასამბლეაზე

ჰელსინკი, 24 ივნისი. (საკდესი). გუშინდელი დღის სხდომა დაიწყო ბრაზილიის მშვიდობის მომხრეთა წარმომადგენლის სენატორ მალაკიასის გამოსვლით. იგი შეეხო ლათინური ამერიკის ქვეყნების მდგომარეობას. ეს ქვეყნები აღმოჩნდნენ ამერიკის მონოპოლიათა ბატონობაში, რომლებიც მოქმედებენ ორმხრივ სამხედრო შეთანხმებათა საშუალებით. მალაკიასმა მხარი დაუჭირა იმას, რომ გაფართოვდეს დიპლომატური, საკონსულო და კულტურული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, რომ პატივისცემით ეკიდებოდნენ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ეროვნულ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. დასასრულ მან განაცხადა, რომ საჭიროა განმტკიცდეს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მეგობრული ურთიერთობა.

დელეგატებმა მჭუხარე ტაშით მოიწონეს პრეზიდიუმის რეკომენდაცია, რომ ედუარდ ერიო არჩეულ იქნას ასამბლეის საპატიო თავმჯდომარედ და მოიწონეს აგრეთვე ასამბლეის საპასუხო წერილები ქ-ნ რმეშვარი ნერუს, ედუარდ ერიოს, ბელგიის დედოფალ ელისაბედის სახელზე.

შემდეგ გამოქვეყნდა იტალიის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივნის პიეტრო ნენის წერილი. მან თავის წერილში მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ საპარლამენტო მუშაობასთან დაკავშირებულმა გადაუდებელმა საქმეებმა საშუალება არ მისცეს მას პირადად მიეღო მონაწილეობა ასამბლეის მუშაობაში. ნენი ასამბლეის ყველა მონაწილის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა საზოგადოებრივი აზრის მობილიზება მშვიდობისათვის საბრძოლველად ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის წინ.

ასამბლეის სახელზე გაგზავნილ წერილში ინგლისელი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა დაარწმუნონ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები, რომ მშვიდობის უზრუნველყოფის პირობაა შეთანხმება ორ ბანაკს შორის. რასელი მოითხოვს, რომ ყველა ქვეყანამ თქვას უარი ურთიერთუნდობლობაზე და აღიაროს, რომ ომის მომზადება არ არის მათი მიზანი.

უნგრეთის კათოლიკური ეკლესიის მთავარეპისკოპოსმა ცაბიკმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მისთვის დიდი პატივია ოფის ასამბლეის დელეგატი და სიტყვა წარმოთქვას აქ. მან აღნიშნა, რომ ადამიანის ერთ-ერთი ბუნებრივი სურვილია მშვიდობისადმი მისწრაფება და მოითხოვა, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაიჭრას სადავო საკითხები.

გერმანიის ევანგელისტთა ეკლესიის წარმომადგენელმა გრუბერმა დაგმო მილიტარიზმი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ომისა და მშვიდობის საკითხს ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსპობის საშუალებებს საზარელი ძალა მიეცა და მათ შეუძლიათ უდიდესი ნგრევა გამოიწვიონ.

საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატმა ლუი ვალონმა, რომელიც ასამბლეას ესწრება როგორც მეთვალყურე, მოითხოვა, რომ გაერთიანებული გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, იტალია, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, პოლონეთი და სხვა სახელმწიფოები არ შეიდნენ რაიმე სამხედრო კავშირში და რომ მათი უშიშროება უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება, რომ სახელმწიფოთა შორის შეთანხმების მიღწევა... ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა მომავალი კონფერენცია მრავლისმომცველი მოვლენაა. შესაძლოა, დადგა შეთანხმების ჟამი, რომელსაც ხალხები მოელიან“.

საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა პიერ მენემ განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ „უწინარეს ყოვლისა მთელი თავისი ღონისძიებანი უნდა მოახმაროს განიარაღების და ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების პრობლემათა გადაჭრას“. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ „უკანასკნელი თვეების განმავლობაში მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა განიარაღების დარგში“ და, რომ მხარეები „შეუპოვრად ეძებენ ახალ ფორმულებს, რომლებიც შეიძლება მისაღები იქნეს ყველა ქვეყნისათვის“. ამასთან ერთად პიერ მენემ დაიცვა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი და ამტკიცებდა, თითქოს მისი საქმიანობა „არ აძლიერებდეს საერთაშორისო დაძაბულობას“.

23 ივნისის დღის სხდომაზე გამოვიდნენ ტაილანდის, თურქეთის, ჰოლანდიის, დომინიკოს რესპუბლიკის, ნორვეგიის, ნიკარაგუას, ბელორუსიის სსრ წარმომადგენლები და გომინდანელი.

ბელორუსიის სსრ დელეგაციის წევრმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. ვ. კისელიოვმა, დაახასიათა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობა უკანასკნელ ათ წელიწადში, აღნიშნა, რომ სახელმწიფოთა შორის დამყარებული ურთიერთურნდობლობისა და ეკვიანობის ატმოსფეროს შედეგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ირღვევა სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, რომელსაც წესდება შეიცავს.

ჯ. ნერუ პოლონეთში

ვარშავა, 24 ივნისი. (საკდესი). დღეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს ვარშავა. გაიცნეს მისი აღდგენა და განვითარება, იყვნენ პოლონეთის დედაქალაქის ახალ რაიონებში, დაათვალიერეს ვარშავის მსუბუქი ავტომობილების ქარხანა.

დღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ზაჯადს